ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 1 ნოემბერი, 2021 №205 (8734) ფასი: 60 თეთრი

## მამუკა ხაზარაძე დეპუტატის მანდატს ტოვებს

გვ.2




# „ოცნებამ“ მიატოვა ქვეყნის მართვა და დასდევს ნაციონალურ მოძრაობას“



გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „კობახიძე ივანიშვილზე ბედნიერი იყო და კალაძეზე ბედნიერიც. სახეზე ეწერა, გაგანადგურებთ და ყველას მოგასუფთავებთ გარშემოო. აი ეს არის ბოროტი ბედნიერება, რაც კობახიძეს ეწერა სახეზე“



## „ივანიშვილს ციხეში პუტინის ნომერ პირველი მტერი ჰყავს დამწყვდეული“



გვ.2

ნონა მამულაშვილი: „პარლამენტში შესვლა შეცდომა იყო, იქ ჩვენი ხმა არ ისმის, ჩვენი ხმა ისმის ქუჩაში“

გვ.3



## „ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს“

მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილს არ სურს ხელისუფლების გაყოფა“

## „30 ოქტომბრის არჩევნებმა წინა გაყალბებებს გადააჭარბა“



გვ.4

თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მაშფოთებს, რჩევით კი აქ ვერაფერს ვურჩევ. ასეთ საქმეში ჩარევა არასწორად მიმაჩნია“

## სუსმა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებაზე გამოძიება დაიწყო



გვ.5



## 30 ოქტომბრის არჩევნები: გამოძიება დაწყებულია დანაშაულის 8 ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1 პირი

ISSN 1987-9385

2 ალბერტ იონსონი: „ხელისუფლებაში ყოფნამ და რესურსების მწვავე უთანასწორობამ „ოცნებას“ მისცა უპირატესობა“

5 ფოთში ქალმა ქალი დაჭრა

4 ტრანსპორტის მოძრაობის შესაძლო შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია „ფეიქ ნიუსია“

6 „დიდი ოცეულის“ ლიდერებმა ახალ საგადასახადო შეთანხმებას მოაწერეს ხელი

# „ივანიშვილს ციხეში პუტინის ნომერ პირველი მტერი ჰყავს დამწყვდეული“

## ნონა მამულაშვილი: „პარლამენტში შესვლა შეცდომა იყო, იქ ჩვენი ხმა არ ისმის, ჩვენი ხმა ისმის ქუჩაში“

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში 20 მუნიციპალიტეტიდან 19-ში მმართველი გუნდის კანდიდატებმა გაიმარჯვეს. ეს იმ დროს, როდესაც არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. მათ შორის, საეჭვოდ ჩაქრა შუქიც რამდენიმე უბანზე. იყო ე. წ. ძველი ბიჭების მობილიზება და ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებიც. ეს ყველაფერი კი საფუძველია ოპოზიციისთვის, რომ შედეგები არ აღიაროს და ქუჩაში გავიდეს. რას აპირებს ოპოზიცია? გადახედავს თუ არა პარლამენტის ბოიკოტირების თემას და გაგრძელდება თუ არა ბრძოლა ქუჩაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნონა მამულაშვილი საუბრობს.**



***— არჩევნებზე იყო დარღვევები, რაზეც ოპოზიცია ამბობთ, რომ გაყალბდა შედეგები. ასე მიიჩნევთ, რომ არჩევნებმა რეალურად მნიშვნელობა დაკარგა?***

— „ქართული ოცნების“ პირობებში არჩევნებს აზრი არ აქვს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ყოველთვის დაწერენ იმ რიცხვებს, რომელსაც შეუკვეთს ბიძინა ივანიშვილი.

***— ამ ფონზე ოპოზიცია რას აპირებთ?***

— ვაპირებთ ბრძოლას ბოლომდე.

***— ბრძოლა რა მეთოდებით?***

— ყველა მეთოდით, რაც არის კონსტიტუციით დაშვებული. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დაიცვან თავისი მომავალი. თუ არადა, ყველას მოუწევს გერმანიაში წასვლა თხილის დასაკრეფად, როგორც ამას შეგვპირდა ბიძინა ივანიშვილი. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. ასე რომ, ან გამოვდივართ ქუდზე კაცი, ან დავიხურეთ თავზე ქუდი და ჩარტერს გამოგვიგზავნის ბიძინა თავისი ხარჯით.

***— ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია გადადიხართ ქუჩიდან ბრძოლაზე და იწყებთ პერმანენტულ აქციებს?***

— ქუჩაშიც და საერთაშორისო ფრონტზეც. ეს მხოლოდ ქუჩა არ იქნება. საერთაშორისო ფრონტზეც ანალოგიურ ბრძოლას გავმართავთ, როგორც ადგილზე. მე ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ძალები — ყველას, ვისაც სძულს რუსეთის იმპერია და მონები, ამ დროს ყველა უნდა დადგეს ჩვენ გვერდით და საქართველო უნდა დავიხსნათ ამ უბედურებისგან, სადაც ბიძინა ივანიშვილმა შეგვიყვანა.

***— დღევანდელი გადმოსახედიდან ხომ არ თვლით, რომ პარლამენტში შესვლა იყო შეცდომა?***

— დიახ, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო.

***— ხომ არ გადახედავთ ამასაც?***

— აბსოლუტურად ყველაფერს გადავხედავთ. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო არ არსებობს, არ ვთვლი, რომ პარლამენტში ჩვენი ყოფნა არის გადამწყვეტი. იმიტომ, რომ დავინახეთ — პარლამენტში ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. მაშინ, როდესაც მათ ჰყავთ უმრავლესობა. ისინი აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი ხმა არ ისმოდეს იქ. ასე რომ, ჩვენი ხმა ისმის ქუჩაში, ჩვენი ხმა ისმის საერთაშორისო პარტნიორებთან და ეს არის ბრძოლის მეთოდი, რომლითაც ჩვენ გავაგრძელებთ ამ სიბოროტის დამარცხებას.

***— პარლამენტში მისაღებია საკონსტიტუციო ცვლილებები. ამ პროცესშიც აღარ მიიღებთ მონაწილეობას?***

— ჩვენ ისედაც ბოიკოტში ვართ, არ დავდივართ პარლამენტში. იმიტომ, რომ ბოიკოტი გვაქვს გამოცხადებული ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიმართ. ერთადერთი, ჩვენი თანხმობა იყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე და იქაც ვნახეთ, რომ ბოლო 24 საათის განმავლობაში ისე გადაწერეს, რომ აზრი არ ჰქონდა მონაწილეობის მიღებას. ის, რომ მოსამართლეს არ აირჩევენ ისე, როგორც ეს არის მოთხოვნილი, მაგას ჩვენ უკვე ვხედავთ. იგივე მაიმუნობაზე მისვლას და ამ სპექტაკლში მონაწილეობის აზრს, ვერ ვხედავ. მე ვხედავ იმას, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერ იმას გააკეთებს, რაც ექნებათ დავალებული რუსეთისგან და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს მავნებლური სასამართლო, რომლითაც მართავს ქვეყანას.

***— თუმცა, ამ პირობებით 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები ისევ 5%-იანი ბარიერით ჩატარდება და ეს რამდენად სწორია?***

— არ გვაქვს დრო 2024 თუ 2025 წლამდე. ხალხო, სახელმწიფო გვერთმევა და რით ვერ გავაგონე ეს ამ ხალხს, სახელმწიფო აღარ გვაქვს, გადაგვყლაპა რუსეთმა. რა 2024?!

***— კი, მაგრამ, ერთ-ერთ გზად ესეც ხომ რჩება. კი გადიხართ ქუჩაში, მაგრამ დაამთავრებთ ხელისუფლებას ქუჩიდან და საერთაშორისო ასპარეზის გამოყენებით?***

— საერთაშორისო ასპარეზი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იმ ხალხმა ნახა, რომ არჩევნების გზით საქართველოში ცვლილება არ იქნება. ასე რომ, მე ველოდები ძალიან აქტიურ საერთაშორისო ჩართულობას და ასევე, ადგილობრივ დონეზე აქტიურობას. ასე რომ, ეს არის ის ფაქტორები, რომლითაც ჩვენ დავასრულებთ ამ სიბოროტეს.

***— უკვე გქონდათ კომუნიკაცია საერთაშორისო აქტორებთან?***

— მაქვს და ძალიან მალე გავემგზავრები იქ, რომ უფრო აქტიურად დავანახო ის სურათი, რაც საქართველოშია.

***— დღეს რა პოზიცია აქვთ მათ?***

— ის, რომ „ქართული ოცნება“ არ არის ლეგიტიმური და მათ ნული აქვთ ნდობა დასავლეთისგან.

***— ოპოზიციას თუ გქონდათ უკვე კომუნიკაცია ერთმანეთში და იქნებით ისევ ერთიანი. გარკვეული პარტიები, მაგალითად, „ლეიბორისტული პარტია“ გაემიჯნა ერთობას და ხომ არ გქონიათ კომუნიკაცია მათთანაც, შემოუერთდებიან აქციას?***

— ყველას, ვისაც საქართველოს მომავალი ადარდებს, უნდა იყოს იქ, სადაც არის ხალხი. პოლიტიკოსი ვერ იქნება გამომწყვდეული კაბინეტში და იქიდან ჭკუას ვერ დაარიგებს. თუ პოლიტიკოსი ხალხთან არ არის, მაშინ ის არ არის პოლიტიკოსი.

***— სუს-ის განცხადების ფონზე, დაჭერების სერიის გაგრძელებასაც ხომ არ ელოდებით?***

— დიახ, ველოდებით, რა თქმა უნდა, მაგრამ ბრძოლას ალტერნატივა არ აქვს.

***— აქციები გექნებათ ერთდღიანი თუ პერმანენტულ აქციებს გეგმავთ?***

— აქციები გაგრძელდება. ეს იქნება პერმანენტული ხასიათის. ეს იქნება წერტილოვანი აქციები იმისათვის, რომ მაქსიმალური დისკომფორტი შევუქმნათ ამ სულით ორჯონიკიძეებს, რათა ესენი მოვიცილოთ აქედან, რაც შეიძლება მალე. ნუ დაგვავიწყდება ის, რომ ამ ქვეყანაში გვყავს პოლიტიკური პატიმარი. ბიძინა ივანიშვილს ციხეში ჰყავს დამწყვდეული პუტინის ნომერ პირველი მტერი. ეს ყველა კითხვაზე სცემს პასუხს. „ქართული ოცნება“ ებრძვის პუტინის ნომერ პირველ მტერს. მანდ მეტი კითხვა აღარ უნდა იყოს, სად მიდის და რას აკეთებს „ქართული ოცნება“.

# ოპოზიცია 7 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე საპროტესტო აქციას გამართავს



ოპოზიცია კვირას, 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციას გამართავს.

შესაბამისი განცხადება პარლამენტთან „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიამ გააკეთა.

როგორც მელიამ აღნიშნა, ოპოზიციას სჭირდება დრო ხალხის მობილიზებისთვის და აქციის დეტალებზე მოგვიანებით ისაუბრებენ.

— ჩვენ ვაპირებთ, რა თქმა უნდა, მაღალი მოტივაციით, უკომპრომისო ბრძოლით, უახლოეს მომავალში ძალიან დიდი ფრონტის ბრძოლის გაჩაღებას. ჩვენ ვაპირებთ სამშაბათს ბათუმში ჩასვლას, ჩვენს მეგობრებთან, რათა იქ, ადგილზე ვიყოთ და გავაპროტესტოთ. ვიყოთ ქუთაისში და მომდევნო დღეებში სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვჭირდება სერიოზული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. გვჭირდება სულ მცირე დრო იმისთვის, რომ პროტესტი, მასშტაბური აქცია, დემონსტრაცია, რომელსაც მთელი მსოფლიო დაინახავს და გაიმართება თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, კვირა დღეს, იყოს მასშტაბური, როგორც არასდროს, მაგრამ ეს აქცია, ეს დემონსტრაცია, რომელიც გაიმართება კვირა დღეს, განსხვავებული იქნება ყველა წინა დემონსტრაციებისა და შეკრებებისგან ბევრი თვალსაზრისით. ნება მომეცით, ამაზე მეტად დეტალებში ახლა არ შევიდეთ.

რა თქმა უნდა, მასშტაბი იქნება იმაზე დიდი, ვიდრე ჩვენ ბოლოს, 14 ოქტომბერს ვნახეთ, თუმცა შინაარსი და დატვირთვა იქნება განსხვავებული, ისეთი, როგორიც ამ სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ოპოზიციას 7 ნოემბრამდე სხვადასხვა მშვიდობიანი აქტივობა ექნება.

— კვირა დღემდე სხვადასხვა აქტივობა გაიმართება ძალიან მშვიდობიანი, მაგრამ მტკიცე, წინააღმდეგობრივი. არ მივცემთ მოძალადეებს ამოსუნთქვის საშუალებას, — აღნიშნა მელიამ.

მან მიხეილ სააკაშვილზეც ისაუბრა.

— ბევრი ეცადეს, მტერმა თუ მოყვარეებმა, რომ ჩვენ შორის არარსებული უთანხმოება ჩამოეგდოთ, მაგრამ, როდესაც ამ მცდელობებს ვხედავდი, კიდევ უფრო მეტი ჟინი მიჩნდებოდა და მეტი მოტივაცია, რომ გვერდში დაგდგომოდი და მეტი გავაკეთო იმისთვის, რომ იქიდან კი არ გვიყურებდე, არამედ ერთ-ერთი ჩვენგანი იყო, თავისუფალი, — განაცხადა მან.

მელიამ მადლობა გადაუხადა სააკაშვილს, როგორც „ადამიანს, რომელიც უკვე 30-ე დღეა შიმშილობს, იმისთვის, რომ საქართველოს დროშა თავისუფლად ფრიალებდეს“.

— დიდი მადლობა ადამიანს, რომელიც წირავს თავის სიცოცხლეს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში, ამ ქალაქში საქართველოს დროშა თავისუფლად ფრიალებდეს. დიდი მადლობა იმ ადამიანს, რომელიც 30-ე დღეა უკვე შიმშილობს სამარტოო საკანში. დიდი მადლობა მას! ვიცი ახლა გვადევნებს თვალყურს და მე მინდა მას მივმართო, მე ვიცი, რას განიცდი ახლა შენ, მიშა, მე, როგორც შენი თანამებრძოლი, როგორც ქართველი, როგორც საქართველოს მოქალაქე. გამაგრდი და გისურვებ ჯანმრთელობას და მხნეობას! — განაცხადა მელიამ.

# მამუკა ხაზარაძე დეპუტატის მანდატს ტოვებს



„ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე დეპუტატის მანდატს ტოვებს.

ამის შესახებ განცხადება მან გუშინ, 31 ოქტომბერს, ოპოზიციის შეკრებაზე გააკეთა.

— მე პოლიტიკაში მოვედი ორი წლის წინ. ორი წლის განმავლობაში არ დამთავრებულა ჩემზე პირადი შეურაცხყოფა, ათასი იარლიყის მოწებება, მაგრამ მივიწევ წინ, ეს ჩემზე არ მოქმედებს. არ მოვსულვარ მე პოლიტიკაში იმისთვის, რომ ან სკამი მდომოდა, ან რაღაცას გავქცეულიყავი.

ჩემი გამოცდილება, რომელიც მე ამ შენობაში მივიღე, მეუბნება, რომ აზრი არ აქვს იმ ადამიანებთან საქმის კეთებას, რომელიც ზურგში დანას გირტყამს და ხმას გართმევს. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება — ეს არის მანდატი და მე ვტოვებ პარლამენტს, ვტოვებ იმიტომ, რომ თქვენთან ერთად, ქუჩაში გავაგრძელო ბრძოლა თავისუფალი საქართველოსთვის, ჩვენი შვილებისთვის, ასეა და ასე იქნება მუდამ. ბრძოლა იქნება ბოლომდე, — განაცხადა ხაზარაძემ.

# „ხელისუფლებაში ყოფნამ და რესურსების მწვავე უთანასწორობამ „ოცნებას“ მისცა უპირატესობა“

## ალბერტ იონსონის დასკვნა

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ალბერტ იონსონმა თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შეფასების ანგარიში წარადგინა.

იონსონის შეფასებით, არჩევნების მეორე ტურის დროს შეინიშნებოდა შეურაცხმყოფელი და უარყოფითი რიტორიკის გამწვავება. ეუთო/ოდირის წარმომადგენელმა ყურადღება იმ დარღვევებზე გაამახვილა, რომელსაც არჩევნების მიმდინარეობის დროს ჰქონდა ადგილი.

— კამპანია კონკურენტული იყო და მთელ ქვეყანას ფარავდა, მან დაჩრდილა ადგილობრივი საკითხები. ზოგადად კანდიდატებს ჰქონდათ კამპანიის თავისუფლად წარმოების საშუალება, მაგრამ იყო ჩივილები დაშინებასა და ზეწოლასთან დაკავშირებით. მწვავე უთანასწორობამ რესურსების მხრივ და ხელისუფლებაში ყოფნის უპირატესობამ დამატებითი როლი ითამაშა მმართველი პარტიის სასარგებლოდ და მის მხარეს გადახარა სასწორი, — აღნიშნა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა.

როგორც იონსონმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, კამპანიის ბოლო დღეებში მკვეთრად მოიმატა ნეგატიურმა კამპანიამ მედიასა და სოციალურ ქსელში.

— აღინიშნებოდა შეურაცხმყოფელი და უარყოფითი რიტორიკის გამწვავება, რომელიც პირველი ტურისთვისაც დამახასიათებელი იყო. მეორე ტურის დროს ეს გამოიხატა დიდი ზომის პარტიების მოწოდებით, ერთმანეთის დამთავრებასთან დაკავშირებით. კამპანიის




ბოლო დღეებში მკვეთრად მოიმატა ნეგატიურმა კამპანიამ მედიასა და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეომასალებში. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, მათ შორის, დაპირისპირებებს პარტიის ოფისებს გარეთ და ოპოზიციასთან დაკავშირებული ყოფილი პოლიციელების დაკავებებს, — განაცხადა ალბერტ იონსონმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებამ“ მიატოვა ქვეყნის მართვა და დასდევს ნაციონალურ მოძრაობას“

## პაატა ზაქარეიშვილი: „კობახიძე ივანიშვილზე ბედნიერი იყო და კალაძეზე ბედნიერიც. სახეზე ეწერა, გაგანადგურებთ და ყველას მოგასუფთავებთ გარშემოო. აი ეს არის ბოროტი ბედნიერება, რაც კობახიძეს ეწერა სახეზე“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, დასრულდა ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური. როგორც წესი, არჩევნების დასრულებისთანავე ორივე მხარე თავს გამარჯვებულად აცხადებდა და ცალ-ცალკე ზეიმობდა გამარჯვებას, თუმცა ცესკოს მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ერთი მუნიციპალიტეტის გარდა, ყველგან „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო. როგორია თქვენი შეფასებები, როგორ ჩატარდა მეორე ტური და რამდენად სწორი არჩევანი გაკეთდა?***

– ცუდსა და უარესს შორის მოუწია მოსახლეობას არჩევანის გაკეთება. ცუდი შედეგი არის ის, რომ მკაფიოდ შუაზეა გაყოფილი ქართული საზოგადოება. ეს ძალიან მძიმეა, ძალიან ცუდი სანახავია. ერთ ნახევარს სძულს მეორე ნახევარი. ამ მხარეების ლიდერები კი არ იშურებენ შეურაცხმყოფელ და სიძულვილის სიტყვებს ერთმანეთის წინააღმდეგ. ამით ქოქავენ და ამით მართავენ თავიანთ ამომრჩეველს. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა, რადგან ამას შემდეგ ხალხი იმეორებს. ამ ყველაფერზე კი პასუხს აგებს მხოლოდ მმართველი ძალა, „ქართული ოცნება“. კობახიძე კი აცხადებს, რომ თითქოს ამით დამთავრდა პოლარიზაცია, მაგრამ არა, ისინი სწორედ ამ პოლარიზაციით ცხოვრობენ, ამით სულდგმულობენ, ამით არსებობენ. როგორც მანქანას სჭირდება საწვავი, სწორედ ასე სჭირდებათ მათ არსებობისთვის სიძულვილის ენა. ეს არის ყველაზე საშინელი შედეგი, ასეთი პოლარიზებული ქართული საზოგადოება არ ყოფილა არასდროს. მიეცი ამ ხალხს იარაღი და დახოცავენ ერთმანეთს. აი ამ ვითარებამდე მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოება. ცხადია, არც ნაციონალური მოძრაობა არ ჩამორჩება სიძულვილის ენაში ხელისუფლებას, მაგრამ ის ოპოზიციაა, ხელისუფლებაში არ არიან, მათ ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ. „ოცნებამ“ კი მიატოვა ქვეყნის მართვა და დასდევს ნაციონალურ მოძრაობას. „ქართული ოცნება“ გაურბის პასუხისმგებლობას და იპოვა მიზეზი, რატომ არ აკეთებს არაფერს. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა მთავარი საზრუნავი, მორჩა და გათავდა!

***– ყოველთვის აწყობდა და დღესაც აწყობს, რომ ნაცმოძრაობა იყოს მისი მთავარი ოპონენტი?***

– რა თქმა უნდა, აწყობდა და აწყობს. ეს არის ძალიან შემაშფოთებელი შედეგები, ხელისუფლება ცდილობს, მუდმივი დაძაბულობა იყოს სახელმწიფოში და ის ამას ეფექტურად ახორციელებს.

***– იყო გაყალბება? საუბარია, რომ ვერ მოახერხა „ოცნებამ“ არჩევნების გაყალბება და ეს იყო ხალხის არჩევანი. თქვენ რას იტყვით?***

– ჯერჯერობით არ ჩანს, რომ გააყალბა. გაყალბებაზე თუ ვისაუბრებთ, ამას სჭირდება მტკიცებულებები. ის ფაქტი, რომ კომისიებში არიან ოპოზიციის წევრები და ისინი ხელს აწერენ ოქმებს, ე.ი. გაყალბება არ ყოფილა. მე, როგორც მოქალაქეს, არანაირი სხვა ინსტრუმენტი არა მაქვს გაყალბებაზე ან არგაყალბებაზე ვილაპარაკო. მე ვენდობი კომისიის წევრებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. ამ წუთში არ მაქვს იმის საფუძველი ვამტკიცო, რომ იყო გაყალბება. თუ დაიდება შესაბამისი დოკუმენტები და ამას სასამართლო არ გაითვალისწინებს, მერე შეიძლება იყოს საუბარი გაყალბებაზე. დღევანდელი მონაცემებით, ამაზე ვერ ვისაუბრებთ. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნა. თუ ისინიც იტყვიან, რომ გაყალბება არ იყო, ანდა იყო მინიმალური დარღვევები, რომელმაც გავლენა ვერ მოახდინა არჩევნებზე, მე მათ დავუჯერებ. ჩემთვის ორ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა, კომისიის წევრების ხელმოწერებს და საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიციას. რას იტყვის უგულავა, ან სხვა, მნიშვნელობა არ აქვს.

***– უგულავა ახსენეთ და მშვიდობიანი რევოლუცია, სხვა გზა არ დაგვრჩაო, განაცხადა მან. რამდენად გამოუვა ოპოზიციას საპროტესტო ტალღის აგორება?***

– და რისთვის უნდა ააგორონ ტალღა, თუ არჩევნები ჩატარდა მეტ-ნაკლებად სამართლიანად და საზოგადოებამ დადო ის შედეგი, რაც არის, რა საბაბით და რა მიზეზით უნდა ააგორონ რევოლუცია?! რა უნდა თქვან, წაგვართვეს ხმებიო? აგერ, ოქმებში ყველაფერი გაწერილია ნორმალურად, მათი დამკვირვებლები და მათი კომისიის წევრები აწერენ ხელს. მაშინ რა რევოლუციაზეა ლაპარაკი?!

***– მიხეილ სააკაშვილის როლი ამ არჩევნებზე? ხელისუფლების წისქვილზე ხომ არ დაასხა წყალი?***

– ორივე მხარეს დაასხა. ათასჯერ მითქვამს, რომ მიშა მუშაობს „ქართულ ოცნებაზე“. ის ახდენს პოლარიზაციას, ხელს უწყობს პოლარიზაციას. კი მოიგონეს მეორე ტურის წინ რაღაც კოალიცია, მაგრამ ძალიან გვიან იყო. მათ რომ გულწრფელად ნდომებოდათ კოალიცია, ეს იქნებოდა წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი ნაწილი, დაწყებული პირველ ტურამდე. მხოლოდ მეორე ტურის წინ რომ მოიფიქრეს, ამან აღარ იმუშავა. რა თქმა უნდა, მიშას ფაქტორმა გააძლიერა როგორც ნაციონალური მოძრაობა, ისე „ქართული ოცნება“. ვისაც უყვარდა მიშა, კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა, ხოლო ვისაც სძულდა, კიდევ უფრო მეტად შესძულდა.

***– როგორი იქნება მიშას ბედი არჩევნების შემდეგ?***

– მიშა სააკაშვილის ნაბიჯი ეს იყო თავგანწირული ნაბიჯი, თუმცა ეს არ იყო სახელმწიფოსთვის თავგანწირული ნაბიჯი, ეს იყო თავის თავისთვის, პარტიისთვისაც არა, მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ძალიან ეგოისტურად მოიქცა. თუმცა თავგანწირული ადამიანი სულაც არ ნიშნავს კეთილშობილ ადამიანს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ უკრაინას გადასცემენ სააკაშვილს?***

– ყველაზე კარგი ვარიანტია საქართველოსათვის, რომ გადასცენ უკრაინას. უკრაინას უნდა გადასცენ, როგორც მსჯავრდებული სააკაშვილი, სხვადასხვა ბრალდებებით, რომელსაც 5-6-წლიანი სასჯელი ეკუთვნის, ამას დაემატება სახელმწიფო საზღვრის დარღვევა. უკრაინაშიც დაარღვია მან სახელმწიფო საზღვარი, შესაბამისად, გადასცემენ თავის მოქალაქეობრივ სახელმწიფოს, მას იქაც გაასამართლებენ, მაგრამ ციხეში არ დატოვებენ, ამ 5-6-წლიან ვადას შეუცვლიან პირობითი სასჯელით. 5-6 წელი ექნება, ოღონდ პირობითი. ვერც გარეთ გამოვა, ვერც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, იქნება ჩვეულებრივი პირობითი მსჯავრდებული. დაარღვევს კანონს? მაშინვე გაუცოცხლებენ ვადას. ასე რომ, ასეთი მოთვინიერებული მიშა სააკაშვილი ყველას აწყობს, როგორც თბილისს, ისე კიევს.

***– თბილისში სასამართლო პროცესები არ იქნება?***

– შეიძლება გაიმართოს, მაგრამ ეს არ იქნება პერმანენტული და მუდმივი. აი, დაელოდეთ და ცოტა ხანში თავზე დაგვახურავენ ლოკდაუნს, ჩვენი ექიმები ხომ მთლიანად პოლიტიკოსებად იქცნენ. გამოვლენ და დაიწყებენ, საშინელი პანდემიაა და უნდა დაიხუროს ყველაფერი. ვფიქრობ, დაწესდება იმ დონის შეზღუდვები, რომ ვერ ჩატარდეს ხალხმრავალი მიტინგები.



***– ბატონო პაატა, ყველანაირი ვადამდელი არჩევნების თემა დაიხურა ამით და 2024 წლამდე უნდა ვუყუროთ „ოცნებას“?***

– ამ ეტაპზე დაიხურა. შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამომდინარე დაიხურა. არანაირი საფუძველი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულოს რაღაც პირობა, არ არსებობს. მართალია „ქართული ოცნება“ ცინიკურად და უტიფრად იქცევა, მაგრამ ამომრჩეველი რატომღაც ამას ვერ ხედავს.

***– დღეს ვინც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, არა იმიტომ მისცა, რომ მოსწონს, არამედ ხმა მისცა ნაციონალების წინააღმდეგო. ასეა?***

– რა თქმა უნდა. ჩვენთან ხომ წლებია ასეა. ჩვენ არ ვირჩევთ, ჩვენ ვიღაცის წინააღმდეგ ვაძლევთ ხმას. ეს არ არის არჩევნები და ამას დემოკრატიასთან არაფერი საერთო არ აქვს. დაურიგე ამ ხალხს ბიულეტენის მაგივრად იარაღი და ერთი ნახევარი ამოხოცავს მეორე ნახევარს. რაც ახლა ხდება, ეს არის სამოქალაქო დაპირისპირება. იარაღის ნაცვლად ბიულეტენებს იყენებენ. გუშინ კობახიძე ბზინავდა ბედნიერებისგან, ბზინავდა. დაადე მას თავზე მუყაოს გვირგვინი და ბრწყინვალედ ითამაშებს რიჩარდ მესამეს. გუშინ კობახიძე ივანიშვილზე ბედნიერი იყო და კალაძეზე ბედნიერიც. სახეზე ეწერა, რომ გაგანადგურებთ და ყველას მოგასუფთავებთ გარშემოო. აი ეს არის ბოროტი ბედნიერება, რაც კობახიძეს ეწერა სახეზე. რამაზ ჩხიკვაძემ ფანტასტიკურად ითამაშა რიჩარდ მესამე, ხოლო კობახიძე რეალურად ცხოვრობს ამაში. რეალურ სპექტაკლში მონაწილეობს და გარშემო ანადგურებს ყველას და ყველაფერს.

# „ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს“

## მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილს არ სურს ხელისუფლების გაყოფა“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოპოზიციის სამოქმედო გეგმაზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, როგორია ოპოზიციის სამოქმედო გეგმა? საყოველთაო დაუმორჩილებლობაზე საუბრობდით თქვენ, ეს რამდენად რეალურია?***

– ამ პოლიტიკისა და კოალიციის ლიდერი ნიკა მელიაა და ის იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვითანამშრომლოთ „ქართულ ოცნებასთან“. დიახ, საყოველთაო დაუმორჩილებლობა უნდა გამოვაცხადოთ ყველა დონეზე. არც ერთი ქალაქის საკრებულოში, არც ერთ უმაღლეს საბჭოში, არც ერთ დონეზე არ უნდა ვუღიაროთ ხელისუფლებას ამ არჩევნების შედეგები. ეს უნდა იყოს გამორიცხული. ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი არც ერთ უწყებაში არ უნდა შევიდეს. „ოცნება“ ყველა დონეზე მარტო უნდა დავტოვოთ.

***– ფიქრობთ, პარლამენტიდანაც უნდა გამოვიდეს ოპოზიცია?***

– რა თქმა უნდა! პარლამენტიდანაც უნდა გამოვიდეს ყველა ოპოზიციონერი დეპუტატი. ახლა არ არის იმის დრო, რომ რაღაცნაირად გაპრანჭულად ვისაუბროთ. იმის მერე, რაც პარლამენტში შევედით, ქვეყანა კიდევ უფრო უმძიმეს ჩიხში შევიდა. დღეს ეს ჩიხი გაორმაგებულია. ბიძინა ივანიშვილს არ სურს ხელისუფლების გაყოფა. მან ეროვნულ დონეზე ხელისუფლება არ გაანაწილა, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რომ ის ადგილობრივ დონეზეც არ გაანაწილებდა ძალაუფლებას. მაგალითად, ბათუმის მერი რომ იყოს მისგან განსხვავებული, სხვა პარტიის წარმომადგენელი, რა იქნებოდა?! ამით ხომ არაფერი დაუშავდებოდა, პირიქით, უფრო მეტი დემოკრატია იქნებოდა ქვეყანაში, უფრო მეტი კონკურენცია და ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებთან ნაკლები სათქმელი გვექნებოდა, ახლა ოპოზიციას მეტი სათქმელი აქვს. ამას ვერ ხვდება ეს ხალხი.



***– თუ ეს ამომრჩევლის ნებაა? თუ ფიქრობთ არჩევნები გაყალბდა?***

– შედეგები, რომელიც 50%-ს მიახლოებულია, იქ ყველგან გაყალბებულია. რამდენი არჩევნების მონაწილე და მომსწრე ვარ ამ 30 წლის მანძილზე?! ეს ყველაფერი იგრძნობა, ჩანს. კონკრეტულად, ბათუმში, ჩვენ ათასი ხმით წავაგეთ, მეტით კი არა. ასე დაგვიწერეს. კოვიდუბანზე როდესაც 200 ხმით მომიგებ და ციხის უბანზე 300 ხმით, იქ არჩევნები, ცხადია, გაყალბებულია. ეს კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ ჩიხს ქმნის, ეს არ ესმით. ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება ამ ხელისუფლებასთან რამეზე იყოს საუბარი. ეს უკვე შეუძლებელია. ჩვენ კი არ ვთქვით, რომ მოლაპარაკება შეუძლებელია, თავად გვითხრეს. თავად სხვა გზა არ დაგვიტოვეს.

***– და რა არის ეს გზა?***

– სრული, მასობრივი დაუმორჩილებლობა. ჩვენ, ოპოზიციამ, ყოველგვარი კავშირი უნდა გავწყვიტოთ ხელისუფლებასთან. საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ საერთაშორისო პარტნიორები და ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ ბოლომდე.

***– ახალი მოთხოვნა რა იქნება?***

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უკვე პროპორციულად და არა შერეული სისტემით. თუ კრიმინალიზაცია არ მოხდა იმის, რაც საარჩევნო ყუთებთან ხდება, როდესაც კამარების წინ ხდება ფულის დარიგება, როდესაც კრიმინალები განაგებენ საარჩევნო პროცესს, როდესაც მარშრუტკებით გადაჰყავთ უბნიდან უბანზე „ციცო დეიდების“ სიებით ხელში, გვექნება ისევ იგივე მდგომარეობა. ერთი და ორპროცენტიანი შპანა ანულებს ქვეყნის ამომრჩევლის 50%-ის ნებას. ამას ვუყურებთ დღეს, სხვას არაფერს. ეს არ გამოვა. ეს უნდა დასრულდეს. თუ ამას ბიძინა ივანიშვილი თავად არ დაასრულებს, დავასრულებთ ჩვენ.

***– საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებს რამდენად ექნება თქვენთვის მნიშვნელობა?***

– დღეს ვერაფერს გეტყვით ამ საკითხზე. თუმცა, შემიძლია ჩემი პირადი აზრი გითხრათ: დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები უფრო დიპლომატიურ ენას იყენებენ. ეს საერთაშორისო ეტიკეტის, საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილია. დემოკრატიაც და თავისუფლებაც პირველ რიგში ქვეყნის მოქალაქის მოსაპოვებელი და დასაცავია. საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას სურს დემოკრატიული მმართველობა, სურს თავისუფლება და ამას ამბობს ყოველ არჩევნებზე. ჩვენ, ჩვენი მოქალაქეები გვეუბნებიან, რომ მათ არ სურთ ბელორუსიაში ცხოვრება. საბჭოთა კავშირში დაბრუნება. რა გამოდის, რომ ნიკა მელიას პირველ ტურში 35% ჰქონდა, მეორე ტურში ათი პროცენტი მოუმატეს?! ამ ციფრებით გვეუბნებიან, რომ კახი კალაძე დედაქალაქის მერია უმრავლესობის არჩევანით?! პირველ ტურში თბილისელების 60%-მა თქვა, რომ მათ ცვლილებები უნდათ.

მე მთელი ჩემი ცხოვრება ვიბრძვი არა ხელისუფლებისთვის, არამედ კარგი ცხოვრებისთვის. ცუდად რომ გავხდები, მივიღო ადეკვატური, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურეობა. წამალი უნდა ღირდეს იმდენი, რომ ჩემი შრომით შევიძინო. პენსიონერს პენსია უნდა ჰქონდეს საკმარისი. თუ სამუშაო ადგილები იქნება, თუ ქვეყნის უსაფრთხოება იქნება გარანტირებული, თუ ერთი ლარი დოლართან მიმართებით იქნება ადეკვატური, ეგდოს იმ ხელისუფლებაში და მე მხართეძოზე სახლში დივანზე წამოვკოტრიალდები. კი ბატონო, მომიაროს, მაგრამ არც ეს უნდა და არც ხელისუფლების დათმობა. ორივე ერთად არ გამოვა. ან უნდა დათმოს ძალაუფლება, ან ამ ქვეყნის მოქალაქეებს შეუქმნას ცხოვრების ის დონე, რომელსაც ვიმსახურებთ.

***– კალაძემ, ამ არჩევნებით დასრულდა პოლიტიკური მტრობა, რევანში, სიძულვილი, ძალადობაო. მართლა?***

– კი, როგორ არა! გუშინ, მის საარჩევნო კლიპებში დედას გვაგინებდა და დღეს დასრულდა. ჩვენც, უცებ დავიჯერეთ.

### წალენჯიხის მერი ნაციონალი გია ხარჩილავა გახდა



ცესკოს წინასწარი მონაცემებით, წალენჯიხის მერი ენმ-ის კანდიდატი, გია ხარჩილავა გახდა. დათვლილია ხმების 100%.

„ნაციონალური მოძრაობის წევრს, გია ხარჩილავას 51.107% აქვს, ხოლო მის კონკურენტს, „ქართული ოცნებიდან“, გოგა გულორდავას – 48.893%.

წალენჯიხის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა უმრავლესობა – ნაციონალურ მოძრაობას საკრებულოში 37.78% აქვს; ქართულ ოცნებას – 34.79%; გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“ – 18.96%, ხოლო ლელოს – 3.35%.

# „30 ოქტომბრის არჩევნებმა წინა გაყალბებებს გადააჭარბა“

## თამარ ჩხეიძე: „სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მაშფოთებს, რჩევით კი აქ ვერაფერს ვურჩევ. ასეთ საქმეში ჩარევა არასწორად მიმაჩნია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ყოფილი დისიდენტი და დეპუტატი თამარ ჩხეიძე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის შედეგს და შექმნილ ვითარებას აფასებს.**



***— ოპოზიციონერები ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურზე მკვეთრ განცხადებებს არ ერიდებიან. მათი შეფასებით, არჩევნები საერთოდ გაუქმებულია. თქვენ რას იტყვით?***

— სამწუხაროდ, არ გამკვირვებია ასეთი შედეგი. გულით მინდოდა ცვლილებები და ოპოზიციის გამარჯვება, არ მინდოდა იმედის დაკარგვა და სადღაც ვიტოვებდი იმედს. ოპოზიციის გამარჯვება და სამართლიანი არჩევნები შეუძლებელია მაშინ, როცა საქმე გვაქვს ყველაფრის მკადრებელ ხელისუფლებასთან. ურთულესია, წინ აღუდგე უზარმაზარ თანხას, ადმინისტრაციულ რესურსს, ძალადობას, მოსყიდვას და სიყალბეს. ძნელია, აჯობო ხელისუფლებას, რომელსაც მუხრუჭები არ გააჩნია. რაც ყველაზე არსებითია — არსებობს რუსეთის ფაქტორი. კრემლი არ დაუშვებდა ახლანდელი რეჟიმის შეცვლას.

***— თუმცა, იმედი მაინც გქონდათ.***

— სასწაულები და მოულოდნელობებიც ხდება. მათ შორის, პოლიტიკაში. საერთოდ, ძნელია, გამარჯვება მოიპოვო უთანასწორო ბრძოლაში. საქართველოში მიმდინარეობს აბსოლუტურად უთანასწორო ბრძოლა წესების გარეშე. ოპოზიციამ ამ სიტუაციაში მოახერხა ის, რომ ხელისუფლებას გაყალბება გაუძნელა. მდგომარეობას ართულებს ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა და მისი მდგომარეობა. ის, ფაქტობრივად, კვდება. სააკაშვილი ამ მდგომარეობაშია და ამას უყურებს მთელი მსოფლიო.

***— აღნიშნეთ, რომ კრემლი არ დაუშვებდა ახლანდელი რეჟიმის შეცვლას. საზოგადოებაში გავრცელებულია ასეთი პოზიცია — მუნიციპალურ არჩევნებში რამდენიმე ადგილზე ოპოზიციის გამარჯვება არ ნიშნავს ხელისუფლების შეცვლას.***

— რა თქმა უნდა, ეს არ იწვევს ცენტრალური ხელისუფლების ავტომატურ შეცვლას. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის გამარჯვებით ხელისუფლება წელში გადატყდებოდა. პრემიერმა ღარიბაშვილმა გამოგვიცხადა, რომ ოპოზიცია მართვაში მაინც ვერ ჩაერთვებოდა, რომ ოპოზიცია დაბლოკილი იქნებოდა.

***— ფიქრობთ, რომ ოპოზიცია მაინც თავის სიტყვას იტყოდა?***

— რასაკვირველია. ოპოზიცია უმოქმედოდ არ იჯდებოდა. „ოცნების“ ხელისუფლება თუ ხელს შეუშლიდა და დაბლოკავდა, ესეც არ დაიმალებოდა.

***— ნიკა მელიამ ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადებისას სააკაშვილს მოუწოდა, შეწყვიტოს შიმშილობა. თქვენც ხომ არ ურჩევთ რაიმეს?***

— თუ სწორად გავიგე, ნიკა მელია საუბრობდა გამარჯვებაზე. პირადად მე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მაშფოთებს, რჩევით კი აქ ვერაფერს ვურჩევ. ასეთ საქმეში ჩარევა არასწორად მიმაჩნია.

***— როგორ განვითარდება მოვლენები იმ დროს, როცა წალენჯიხის გარდა, ყველგან „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო არჩევნები. რა იქნება შემდეგ? ხელისუფლება უფრო შეუვალი გახდება?***

— თუ გაუვა, ხელისუფლება უფრო გათავხედდება. იმედია, მეორე ტურს ადეკვატური შეფასება მიეცემა. 30 ოქტომბრის არჩევნებმა წინა გაყალბებებს გადააჭარბა. ადრეც გვინახავს ფალსიფიკაცია, მოსყიდვა, დაშინება, ძალადობა. ამ ბოლო შემთხვევაში უარესი მოხდა. ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურმა წინა თავგასულობა გადაფარა. ადრე არჩევნები რაღაც პარამეტრით მაინც ემსგავსებოდა არჩევნებს. ახლა ესეც მოიხსნა. არჩევნები გადაკეთდა სპეცოპერაციად.

***— გაყალბების მასშტაბი იყო მეტი?***

— რასაკვირველია. ხელისუფლება ყოველთვის წინასწარ ადგენს არჩევნების ფალსიფიკაციის დეტალურ გეგმას. ადრევე იციან, რამდენი უნდა დაიწერონ. ამ ციფრებს არაფერი აქვს საერთო ხალხის ნების გამოხატვასთან, ანუ თავისუფალ არჩევნებთან. ეგზიტპოლის დროს ცხადდება მმართველი პარტიის სურვილები. საბოლოოდ, ყალბ ციფრებს აცხადებს ცესკო. ცესკოს გარდა, უკანონო სქემებში ბევრია ჩართული — „ზონდერები“, კრიმინალური სამყარო და სხვა. ჩანს, რომ უკანონობაში ჩაბმული ბევრი ადამიანი ამას არ ეგუება. ამიტომ, ხელისუფლებას უძნელდება წინასწარ დაწერილი რიცხვების დაკანონება. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების ნახევარზე მეტს უნდა ხელისუფლების შეცვლა. მას არ აძლევენ ნების გამოხატვის უფლებას.

***— ოპოზიციის ერთიანობას თუ ელით? ერთად დამდგარი ოპოზიციიდან ზოგი მშვიდობიან რევოლუციაზე ალაპარაკდა, ზოგი კი ხმების სამართლებრივ დაცვაზე.***

— ოპოზიციის ერთიანობა სასურველია. რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ მოსაზრებებს, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. სამართლებრივი გზა აუცილებელია. პროტესტის ფორმები უნდა იყოს აუცილებლად კანონიერი. ისინი არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს. თუ გასცდა, ეს იქნება საჩუქარი ხელისუფლებისათვის. ოპოზიცია მხოლოდ გასაჩივრებით არ უნდა შემოიფარგლოს. მან უნდა მოახდინოს არსებული მასალების პოპულარიზაცია და დასავლეთისთვის დეტალურად მიწოდება. წინა შემთხვევაშიც გადაეცა პარტნიორებს მასალები, მაგრამ განსაკუთრებული რეაგირება არ ყოფილა. მოსაფიქრებელია კანონიერი ხერხი, რომლითაც ოპოზიცია ხელისუფლებას საარჩევნო ალვირახსნილობას კიდევ უფრო გაუძნელებს. მესახება ორი გზა, რითაც ამის მიღწევა შეიძლება. პირველ შემთხვევაში უნდა მომზადდნენ ადამიანები, რომლებიც დაიცავენ ხმებს. ოპოზიციას ჰყავდა ასეთი ადამიანები, მაგრამ ბევრად მეტია საჭირო. მათ უნდა გაიარონ შესაბამისი წვრთნა. ეს ადამიანები უნდა იყვნენ მებრძოლი ხასიათის. ასეთ ხალხს არჩევნების დროს უბნებიდან აძევებდნენ. ამიტომ, აუცილებელია რეზერვი. ორს თუ გამოაგდებენ, სხვებიც უნდა იყვნენ. ოპოზიციამ ამ გეგმის ამუშავება დასავლეთთან ერთად უნდა შეძლოს. და კიდევ ერთი გზა — ტექნოლოგიების ეპოქაში ელექტრონული საშუალებებით შესაძლებელია ხალხის ნების გამოხატვის უზრუნველყოფა და მისი დაცვა. არჩევნების გაყალბება ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. ჩემი აზრით, ეს უმძიმესი დანაშაული უტოლდება სახელმწიფო გადატრიალებას. როცა ხალხს ართმევ უფლებას, შეცვალოს და დატოვოს ხელისუფლება, ეს იგივე სახელმწიფო გადატრიალებაა. გაყალბებაზე დანაშაული უნდა გამკაცრდეს.

***— სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლების დამხობის მზადება ოპოზიციას ბრალდება. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ოპოზიციას ამ ბრალდებას უყენებენ.***

— ხელისუფლებას ეს დასაშინებლად სჭირდება. იმედი აქვს, რომ თუ გამოუვა, ამას აამოქმედებს ოპოზიციის წინააღმდეგ. მესამე პრეზიდენტს სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული. ედავებიან პიჯაკის, თაიგულის შეძენას, იუშჩენკოს სტუმრობისას გაწეულ ხარჯებს, ასევე, შეწყალებას.

***— შეწყალება გირგვლიანის მკვლელებს ეხება.***

— ნებისმიერ შემთხვევაში, შეწყალება პრეზიდენტის უფლებაა. ეს დანაშაული არ არის. ამ ხელისუფლებამ იმდენი ჩაიდინა, რომ წინათ მომხდარ ყველა დანაშაულს ფარავს. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. გავიხსენებ ყველაზე საშინელს — 19 წლის ბიჭის ლოგინში მოკვლას. ეს ჩაიდინა სახელმწიფომ ოფიციალური სპეცოპერაციის დროს. სპეცოპერაციების დროს შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მთავარია, ამაზე იყოს რეაგირება. ხელისუფლებას ამაზე რეაგირება არ მოუხდენია.

## ნინო ლაცაბიძე: „რუსთავის საკრებულოში უმრავლესობა არ გვაქვს, მაგრამ არ გვეშინია“



— ნამდვილად რუსთავისთვის არის ახალი გამოწვევა, რომ საკრებულოში არ გვყავს უმრავლესობა და ჩემთვისაც უფრო კარგი იქნებოდა, რომ ეს უმრავლესობა გვყოლოდა, მაგრამ არ ვუშინდებით.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა ნინო ლაცაბიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამაში სანერვიულო არაფერი არ არის.

— ამ გამოწვევას დავძლევთ. პირიქით, ძალიან კარგი შესაძლებლობა აქვს ოპოზიციურ პარტიებს და იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ოპოზიციური ხმებით წარმოდგენილი საკრებულოში, აკეთონ საქმე, საქმის კეთებაზე გადავიდეთ. აქამდე თუ იყო მხოლოდ კრიტიკა, ახლა ეძლევათ შესაძლებლობა, აკეთონ საქმე და ჩაერთონ ქალაქის განვითარებაში და საკუთარი წვლილი შეიტანონ, — განაცხადა ნინო ლაცაბიძემ.

ნინო ლაცაბიძე გამოჩენილი ნდობისთვის ამომრჩეველს მადლობას უხდის და აცხადებს, რომ მეორე ტურში ღირსეულ გამარჯვებას ელოდებოდა.

— რუსთავში გაიმარჯვა მეგობრობამ, გაიმარჯვა ღირსებამ, ერთიანობამ და სურვილმა, რომ ჩვენი ქალაქი გახდეს უკეთესი. მე დარწმუნებული ვარ, თითოეულ პროექტს, ჩვენ რაზეც ვსაუბრობდით, წარმატებით განვახორციელებთ. რა თქმა უნდა, ველოდით ღირსეულ გამარჯვებას და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდით როგორც პირველ ტურში, ასევე მეორე ტურის განმავლობაში.

საკრებულოში არ გვაქვს უმრავლესობა და ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევა, რაზეც უნდა ვიმუშაოთ და რუსთავმა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ, ყველამ ერთად ხმა მივცეთ და მხარი დავუჭიროთ ქალაქის განვითარებას, — აღნიშნა ნინო ლაცაბიძემ.

## „მადლობა ღარიბაშვილს, კალაძეს, კუჭავას, პაპუაშვილს, აგიტატორებს, სამართალდამცველებს, ცესკოს“

### ირაკლი კობახიძის მიმართვა

„მადლობა ერთგულებისა და თავდადებისთვის...“ — „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა და არჩევნების მეორე დღეს „პარტიის 40.000-ზე მეტ წევრს“ სამადლობელი სიტყვით მიმართა.

კობახიძის მადლობა დაიმსახურეს: პარტიის აგიტატორებმა, „ოცნების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციების წევრებმა, ამომრჩეველმა, სამთავრობო გუნდმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა და საარჩევნო ადმინისტრაციამაც კი.

მადლობების სერიის დასასრულს, კობახიძე ბრიფინგიდან გაიქცა და ჟურნალისტების კითხვები უპასუხოდ დატოვა.



— მადლობას ვუხდი პარტიის 40.000-ზე მეტ წევრს, ერთგულებისა და თავდადებისთვის, ცენტრალური და ადგილობრივი შტაბების თითოეულ წევრს, შტაბების ხელმძღვანელებს, ზონისა და უბნის უფროსებს, აგიტატორებს. მადლობას ვუხდი ახალგაზრდულ ორგანიზაციას.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენი კამპანიის ლიდერ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. მივულოცავ გამარჯვებას და მადლობას გადავუხდი კახა კალაძეს, რომელიც იყო არა მხოლოდ მთავარი საარჩევნო კანდიდატი, არამედ კამპანიის ლიდერი დედაქალაქში და საერთო გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი. მადლობა პარლამენტის თავმჯდომარეს, კახა კუჭავას, მადლობა პარტიის აღმასრულებელ მდივანს, მამუკა მდინარაძეს შტაბის წარმატებულ მენეჯმენტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. მადლობა პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანს, შალვა პაპუაშვილს, საზოგადოებასთან მწყობრი კომუნიკაციის უზრუნველყოფისათვის. მადლობა პარტიის რეგიონულ მდივანს, დიმიტრი სამხარაძეს, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა პარტიის დამაჯერებელ გამარჯვებაში, — თქვა ირაკლი კობახიძემ.

## შალვა პაპუაშვილი: „ხელისუფლება, მკაფიოდ და სწრაფად ირეაგირებს“



— გვესმის პირდაპირი მოწოდებები ძალადობისკენ — თუკი რაიმე ქმედება გამოხატვის თავისუფლების ზღვარს გადავა, ჩვენი ხელისუფლება, ხედავთ, რომ მკაფიოდ და სწრაფად რეაგირებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რითაც ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციას გამოეხმაურა.

— ჩვენს ქვეყანაში არის გამოხატვის თავისუფლება. ნებისმიერ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შეუძლია ღია ცის ქვეშ თავისუფლად შეკრება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა, რაც არ უნდა მიუღებელი, არასწორი, ობიექტურ ჭეშმარიტებას აცდენილი იყოს ეს პოზიცია. ჩვენი ქვეყანა არის დემოკრატიული ქვეყანა და ყველა ადამიანს შეუძლია ამით ისარგებლოს. სუს-ის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერების საქმის ფიგურანტებმა დაადასტურეს, არ უარყვეს ყოველ შემთხვევაში, საკუთარი მონაწილეობა ასეთი სახის საუბრებში. ზოგი ამას ღიადაც საუბრობს და არც მალავს, მათ შორის გუშინდელი დღის შემდეგ გვესმის პირდაპირ მოწოდებები ძალადობისკენ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით პოლიტიკური მოწოდებების სახით არის ეს. ორი რამეა მნიშვნელოვანი, ჩვენს ქვეყანაში არის გამოხატვის თავისუფლება და ამ ჩარჩოში ყველას შეუძლია საკუთარი მოსაზრება გამოხატოს და მეორე — ქვეყანაში მოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსი და თუკი რაიმე ქმედება გადავა ზღვარს, ჩვენი ხელისუფლება, ხედავთ, რომ მკაფიოდ და სწრაფად რეაგირებს, — განაცხადა პაპუაშვილმა.

## ტრანსპორტის მოძრაობის შესაძლო შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია „ფეიკ ნიუსია“ — მთავრობის სტრატკომი

გუშინ, 31 ოქტომბერს, რამდენიმე ონლაინ-პორტალმა გაავრცელა მცდარი ინფორმაცია, თბილისში მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის შესაძლო შეზღუდვის შესახებ. ხაზგასმით ვაცხადებთ, აღნიშნული ინფორმაცია არის კლასიკური ფეიკ ნიუსი და სიმართლეს არ შეესაბამება, — ამის შესახებ მთავრობის სტრატკომის განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებისა თუ შემსუბუქების შესახებ გადაწყვეტილებებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ეპიდვითარებიდან გამომდინარე იღებს.

„ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებისა თუ შემსუბუქების შესახებ გადაწყვეტილებებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ეპიდვითარებიდან გამომდინარე იღებს. საბჭოს სხდომები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ყოველკვირეულად იმართება და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია პროაქტიულად მიეწოდება“ — აღნიშნულია მთავრობის სტრატკომის განცხადებაში.

# 30 ოქტომბრის არჩევნები: გამოძიება დაწყებულია დანაშაულის 8 ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1 პირი

30 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების მე-2 ტურში გამოვლენილი დარღვევების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიება დაწყებული აქვს სავარაუდო დანაშაულის 8 ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1 პირი, ამის შესახებ შსს-ს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა, ქეთევან კოვზიაშვილმა 30 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



– ამ დროისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიება დაწყებული აქვს სავარაუდო დანაშაულის 8 ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1 პირი.

კერძოდ, ქარელის №2 საარჩევნო უბანში „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ტელეკომპანია „მონიტორინგის" ჟურნალისტს. მომხდარ ფაქტზე შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქარელის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და კენჭისყრის შენობაში ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 162-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით. პოლიციის მიერ ბრალდებულის სახით დაკავებულია 1972 წელს დაბადებული გ.კ.;

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში. გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ ფოთში, №12-ე საარჩევნო უბანში, ტელეკომპანია „პირველის" ჟურნალისტს წაართვეს მიკროფონის ატრიბუტი, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნდა. ჟურნალისტის გადმოცემით, აღნიშნული დაპირისპირებისას მან მსუბუქი დაზიანებები მიიღო. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს;

სენაკის რაიონულ სამმართველოში, „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატის შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო მუქარის ფაქტზე. კანდიდატის განმარტებით, მას მოქალაქემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს;

აჭარის პოლიციამ სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო. გამოძიებისთვის ამ ეტაპზე ჟურნალისტების მიერ მიწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გონიოში, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, ტელეკომპანიების – „მთავარისა" და „ფორმულას" ჟურნალისტებთან სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ, აქტივისტებმა ტელეკომპანია „ფორმულას" კუთვნილი ავტომანქანა დააზიანეს. მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები, მათ შორის გაგრძელდება ინციდენტში მონაწილე პირების გამოკითხვები;

ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო თბილისში, მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. გამოძიებით დგინდება, რომ სკვერში მყოფმა ერთ-ერთმა მოქალაქემ შენიშნა, სავარაუდოდ, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი. მოქალაქის განმარტებით, მას აგიტატორის კუთვნილი სიები ჩაუვარდა ხელში, რის შემდეგაც რამდენიმე ახალგაზრდამ აღნიშნულ მოქალაქეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ძველი თბილისის მთავარ სამმართველოში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს;

ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, №40 საარჩევნო უბანში ძალადობის ფაქტის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებლების შეტყობინების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. დამკვირვებლების გადმოცემით, საარჩევნო უბნის მიმდებარედ, საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი მკვიდრის კუთვნილ ავტოფარეხში მსხდომი პირების ვიდეოგადაღებას აწარმოებდნენ, რა დროსაც დაიწყო სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. ერთ-ერთი დამკვირვებლის განმარტებით, მან დაპირისპირების დროს მიიღო დაზიანებები და დასჭირდა კლინიკაში გადაყვანა. დამკვირვებლები ამ ეტაპზე უარს აცხადებენ პოლიციაში გამოკითხვის მიზნით გამოცხადებაზე.

ძალადობის შესაძლო ფაქტებზე საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ სისხლის სამართლის ორ საქმეზე გრძელდება გამოძიება.

ქალაქ ზუგდიდში, №20 საარჩევნო უბნის მიმდებარედ მომხდარ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ძალადობას გულისხმობს;

სენაკის №14 საარჩევნო უბნიდან, ტელეკომპანია „მთავარის" ჟურნალისტის შეტყობინების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით;

გარდა აღნიშნულისა, პოლიციამ ზუგდიდსა და რუსთავში, ადმინისტრაციული წესით, ჯამში 6 პირი დააკავა. აღნიშნული პირები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც დაკავებული არიან ადმინისტრაციული წესით. ზუგდიდში ადმინისტრაციული საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის მიმართ წინააღმდეგობა) მუხლებით მიმდინარეობს, ხოლო რუსთავში – ამავე კოდექსის 173-ე მუხლით.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე სამართალდარღვევის ჩამდენი პირები არიან როგორც მმართველი, ასევე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები.

ამასთანავე, საარჩევნო კანონმდებლობის, კერძოდ, კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრების ან ამომრჩეველთა აღრიცხვის ფაქტებზე, ასევე, 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსების ფაქტებზე, ამ ეტაპისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიღებული შეტყობინებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში რეაგირება განახორციელა 18 შემთხვევაზე. იქ, სადაც გამოიკვეთა კანონით დადგენილი დისტანციის დარღვევის პირველადი ფაქტი, შეკრებილ მოქალაქეებს პოლიციის მიერ მიეცათ გაფრთხილება. აღნიშნულის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შედგენილია შესაბამისი ოქმები.

გამოვლენილ ინციდენტებზე ტარდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით მიეწოდება ინფორმაცია.

მივმართავთ საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა პირს თუ ორგანიზაციას, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, სამართალდარღვევის სავარაუდო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ დააფიქსიროთ აღნიშნული კანონდარღვევა და დაუყოვნებლივ შეატყობინოთ პოლიციას, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

## პოლიციამ თბილისში, ისნის 62-ე საარჩევნო უბანში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ისნის 62-ე საარჩევნო უბანში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყეს, რაც საარჩევნო უბნის მიმდებარედ ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

ისნის 62-ე საარჩევნო უბანში, სადაც შეკრებილი იყვნენ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერები, თბილისის მერობის კანდიდატი – ნიკანორ მელია მხარდამჭერებსა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად მივიდა. ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის" წარმომადგენლები და მხარდამჭერები.

საარჩევნო უბანში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება, რა დროსაც ამ დრომდე დაუდგენელმა პირმა ნიკანორ მელიას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

## სუსმა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებაზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულების ფაქტზე აწარმოებს გამოძიებას.

„გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად დგინდება, რომ საქმის ფიგურანტები გეგმავენ გარკვეულ დესტრუქციულ ქმედებებს. კერძოდ, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მისი გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეტაპირებისათვის ხელის შეშლის მიზნით, აღნიშნული სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან მისასვლელი საავტომობილო გზების სხვადასხვა საშუალებით ბლოკირებას. მათ განზრახული აქვთ, აღნიშნული დესტრუქციული ხასიათის მოქმედებების განხორციელებით, გამოიწვიონ უკონტროლო სიტუაცია, ქაოსი და შექმნილი ვითარებით ხელი შეუშალონ მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ეტაპირების პროცესს. მსგავს ქმედებებს ადგილი შესაძლოა ჰქონდეს მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის სხვა დაწესებულებებში ეტაპირების დროსაც.

ფაქტთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქმის ფიგურანტმა პირებმა, რომლებიც მოწმის სახით იქნენ დაბარებული გამოკითხვაზე, უარი განაცხადეს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე, რის გამოც ისინი გამოიკითხებიან კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოში.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებით მანიპულირება, პროცესების პროვოცირება და აღნიშნულით პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა წარმოადგენს უკიდურესად სახიფათო აქტივობას, რამაც შესაძლოა მოიტანოს მძიმე შედეგები და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქვეყნის უსაფრთხოებას.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი.

ახლა გთავაზობთ აუდიო მტკიცებულების ნაწილს, რომელიც მოპოვებულია სასამართლო განჩინების საფუძველზე. საუბარი მიმდინარეობს მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში. ჩანაწერი 2-საათიანია და დართული აქვს სისხლის სამართლის საქმეს" – ნათქვამია სუსის განცხადებაში.

## „წირვიდან გამოსულს მინა ჩამსხვრეული დამხვდა"

### გახარიას პარტიის წევრს მანქანა დაუზიანეს

პარტია „საქართველოსთვის" ქუთაისის სიის პირველი ნომერი, ელეონორა არჩაია, აცხადებს, რომ მას ავტომობილი დაუზიანეს.

შემთხვევა გუშინ, 31 ოქტომბერს, მოხდა. ელეონორა არჩაიას თქმით, ეკლესიაში წირვაზე იყო, გამოსულს კი ავტომობილის მინა ჩამსხვრეული დახვდა. მისი თქმით, უცნობია, ვინ დააზიანა მისი ავტომობილი, თუმცა მომხდარს პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

როგორც არჩაია აცხადებს, „ქართული ოცნებიდან" გახარიას გუნდში გადასვლის შემდეგ, მასზე ზეწოლა დაიწყო და საფრთხე მის ბიზნესსაქმიანობასაც ემუქრება.

ადგილზე იმყოფებოდა პოლიცია.

ელეონორა არჩაია წინა მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო „ქართული ოცნებიდან", ახალი მოწვევის საკრებულოში კი პარტია „საქართველოსთვის" სიით მოხვდა.

## ბორჯომში კ.ს.-მ თანასოფლელი მოკლა, ცოლი კი დაჭრა

ბორჯომის სოფელ საკირეში, მამაკაცმა ეჭვიანობის ნიადაგზე თანასოფლელი მოკლა და მეუღლე დაჭრა.



უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სავარაუდო დამნაშავე შემთხვევიდან რამდენიმე წუთში თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული კ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ეჭვიანობის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1981 წელს დაბადებულ ვ.ხ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, კ.ს.-მ თავის მეუღლეს – 1991 წელს დაბადებულ თ.გ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა. დაჭრილი ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კ.ს. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – დანა და სანადირო თოფი – ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს" – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ფოთში ქალმა ქალი დაჭრა



29 ოქტომბერს ფოთში, ნაბადის უბანში, ურთიერთშელაპარაკების შედეგად ახალგაზრდა ქალი დაჭრეს.

დაზარალებული მარკეტ „იოლის" თანამშრომელია. მას ზურგის არეში ჭრილობები შუშის ბოთლით აქვს მიყენებული.

სავარაუდო დამნაშავე 30 წლამდე ქალია.

## შსს-მ დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1960 წელს დაბადებული პ.ს. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამასთან ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სამართალდამცველებმა ბრალდებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში დააკავეს და მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს: მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, 9 ვაზნა და პნევმატური პისტოლეტი, ასევე, ფული – 11.200 დოლარი, 50 ევრო და 3.695 ლარი.

„პოლიციამ სოფელ კრწანისში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, საბრძოლო ხელყუმბარა და ამფეთქი ფალია ამოიღო.

სამართალდამცველებმა თბილისში, პ.ს.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ტტ"-ს კონსტრუქციის 3 პისტოლეტი, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, „კომპაქტის" და „არკუსის" მოდელების 2 პისტოლეტი, „გეკოს" ტიპის 2 იარაღი, 4 სანადირო გლუვლულიანი თოფი და 3 შაშხანა, სასწავლო ხელყუმბარა და სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 4.182 საბრძოლო ვაზნა. ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია ფული – 36.700 დოლარი" – აღნიშნულია ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

## ემანუელ მაკრონი ჯო ბაიდენს შეხვდა

– საფრანგეთი აშშ-ის ძალიან, ძალიან ღირებული პარტნიორია.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ემანუელ მაკრონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ორი პრეზიდენტი ერთმანეთს პირველად შეხვდა გასული თვის დიპლომატიური კრიზისის შემდეგ, რაც აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს მიერ ავსტრალიასთან აუკუსის შეთანხმების გაფორმებას მოჰყვა, რამაც საფრანგეთსა და ავსტრალიას შორის წყალქვეშა ნავების მიწოდებასთან დაკავშირებით 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ანულირება გამოიწვია.



– რაც გავაკეთეთ, მოუქნელი ქმედება იყო. მართლა რომ გითხრათ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საფრანგეთი ბევრად ადრე იყო გაფრთხილებული, რომ გარიგება არ შედგებოდა, – აღნიშნა ბაიდენმა.

შეხვედრის შემდეგ ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ჯო ბაიდენთან შეხვედრა სასარგებლო იყო და აშშ-მა ევროპის თავდაცვის გაძლიერების მიმართ მტკიცე ერთგულება გამოხატა, თუმცა დასძინა, რომ მთავარია ის, თუ რა ნაბიჯები მოჰყვება ამ შეხვედრას.

– ახლა მთავარია, რას გავაკეთებთ ერთად უახლოეს კვირებში, თვეებში, მომავალ წლებში. ნდობა სიყვარულს ჰგავს: განცხადებები კარგია, მაგრამ მტკიცებულება უკეთესი, – აღნიშნა მაკრონმა.

ჯო ბაიდენი და ემანუელ მაკრონი ერთმანეთს რომში, „დიდი ოცეულის" სამიტის წინ შეხვდნენ.

## „დიდი ოცეულის" ლიდერებმა ახალ საგადასახადო შეთანხმებას მოაწერეს ხელი

მსოფლიოს 20 უმსხვილესი ეკონომიკის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს მინიმალური გლობალური კორპორაციული გადასახადის შესახებ შეთანხმებას, რომელიც მსხვილი ბიზნესების გადასახადებისგან თავის არიდების აღმოფხვრას ისახავს მიზნად.




მინიმალური კორპორაციული გადასახადის გარიგება კოორდინაციული შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც, 2023 წლიდან მსხვილ კორპორაციებს მინიმალური 15%-იანი გადასახადი ემუქრებათ. შედეგად მსხვილი ბიზნესები ოფშორულ დაწესებულებებში მოგების დამალვასა და გადასახადებიდან თავის არიდებას ველარ შეძლებენ.

სამიტზე წამყვანმა ქვეყნებმა ღარიბ ქვეყნებში ვაქცინების განაწილების თემაზეც ისაუბრეს.

ლიდერებმა მხარი დაუჭირეს მოწოდებებს გალატაკებული ქვეყნებისთვის ვალების გადახდის პერიოდის გახანგრძლივების შესახებ და პირობა დადეს, რომ 2022 წლის შუა პერიოდისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 70%-ს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უკვე გაკეთებული ექნება.

## აშშ ტაივანს კოვიდვაქცინის დამატებით 1.5 მილიონ დოზას გადასცემს

აშშ ტაივანს კოვიდ-19 ვაქცინის დამატებით 1,5 მილიონ დოზას გადასცემს.

„მოდერნას" დოზას აშშ კენტუკის შტატიდან გააგზავნის.

ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ვაქცინას არ იყენებენ, როგორც დიპლომატიურ ხრიკს გარკვეული დათმობების მოსაპოვებლად.

აღნიშნული განცხადება წარმომადგენელმა პეკინის კრიტიკის საპასუხოდ გაავრცელა.

ოფიციალურმა პირმა აღნიშნა, რომ ტაივანი ჯანმრთელობის გლობალურ საკითხებში „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორია".

ჯამში ტაივანს აშშ-დან 4 მილიონი კოვიდ-ვაქცინის დოზა აქვს მიღებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ოლიმპი ფავორიტია, მეგა ლიდერებში გაერია

**კაქტუსი-ოლიმპი 56:71**
**(14:16, 17:11, 13:26, 12:18)**

ახალდაწყებულ სუპერლიგის გათამაშებაში აუტსაიდერი გამოიკვეთა. მართალია, ამ სტატუსის რომელიმე გუნდზე მინიჭება ჯერ ადრეა, მაგრამ 3-დან 3 მარცხი რომ მიმდინარე სეზონში ყველა გუნდზე უარესი შედეგია, ფაქტია. ცხრილში ერთადერთი გუნდი, რომელსაც სამივე შეხვედრა წაგებული აქვს, არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაქტუსია, რომელმაც მორიგი მარცხი სუპერლიგის ერთ-ერთ ფავორიტ, მაგრამ ტრავმებით დასუსტებულ ოლიმპთან იწვნია.

დავით როგავას გაწვრთნილი ოლიმპი სოლიდური ამბიციის გუნდია და ამის საფუძველს მას საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა აძლევს. სასტარტო ხუთეულის 3 ტრავმირებული მოთამაშიდან ოლიმპელებს კაქტუსთან კახა ჯინჭარაძე დაუბრუნდათ, ხოლო ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრი, გივი ბაქრაძე, ასევე ამერიკელი გამთამაშებელი კენდრიკ ტომპსონი კვლავ იძულებით ისვენებენ.

მიუხედავად ამისა, ოლიმპს არ გასჭირვებია გამარჯვების მოპოვება. 4 ქულით წაგებული პირველი ნახევრიდან როგავამ სათანადო დასკვნები გამოიტანა და დიდი შესვენებიდან დაბრუნებული მისი გაწვრთნილი ოლიმპი სულ სხვაგვარად, შედეგიანად ათამაშდა. სრული დატვირთვით ვერ თამაშობდა ტრავმამოშუშებული ჯინჭარაძე, მაგრამ მისი დახმარება ოლიმპელებს დიდად წაადგათ მესამე პერიოდში, რომელიც გარდამტეხი გამოდგა. ათწუთეული როგავას გუნდმა 26:13 მოიგო და ბოლო მეოთხედში მეტოქე ახლოს აღარ გაიკარა.

ჩინებულად ითამაშა ეროვნული ნაკრების კიდევ ერთმა ოლიმპელმა წევრმა, ილია ლონდარიძემ, რომელმაც მეურვეს აჯობა და ამით თავის გუნდს გამარჯვებისკენ გზა გაუხსნა. საბოლოოდ ოლიმპმა 15 ქულით – 71:56 იმარჯვა.

ლონდარიძე სტატისტიკითაც საუკეთესო იყო – 17 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი. კიდევ 2-მა ოლიმპის მოთამაშემ გაიფორმა ორმაგი დუბლი: ლუკა კალატოზიშვილმა 13 ქულა და 11 მოხსნა




მოაგროვა, ხოლო ბუნდუ აბდულაიმ კი, 12 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. კახა ჯინჭარაძემ შეხვედრა 12 ქულით დაასრულა. კაქტუსში 18 ქულა რიკი მედისონის ანგარიშზეა, ანდრე ფოქსმა შეხვედრა 11 ქულით დაასრულა.

**მეგა-დინამო 81:76**
**(20:24, 19:15, 17:15, 25:22)**

სუპერლიგის დებიუტანტმა მეგამ 81:76 დაამარცხა დინამო და ლიდერებში გაერია. არადა, მიხეილ ტერეხოვის გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგა წაგებით გახსნა და მას შემდეგ ჯერ ტიტებს მოუგო, ამჯერად კი, დინამოსაც სძლია.

ორივე გუნდს ამ შეხვედრამდე თითო მოგებ-წაგება ჰქონდა და ცხადია, გამარჯვება სეზონის სტარტზე კომფორტულ ვითარებაში აყენებდა. ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილ დინამოელებს წინა ტურში 2 ლეგიონერი – რაჰსან უილიამსი და ბენჟამინ ქოლეჯი დაემატათ, მეგას კი, თავიდანვე ჰყავს 4 ლეგიონერი და უფრო მეტად შეთამაშებულია. მთელი თამაშის მანძილზე თანაბარი ორთაბრძოლის კვანძი სწორედ ლეგიონერის ოსტატობამ გახსნა.

საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე, როდესაც მეგა 72:71 იგებდა, გუნდის უკანახაზელმა ჯიმონ ჰენსონმა შეტევისთვის განკუთვნილი დროის ბოლო წამზე 3-ქულიანი ჩააგდო, რის შემდეგაც მეგამ დაცვაში იყოჩაღა და ჰენსონმა სწრაფი შეტევით მეგას ლიდერობა 6 ქულამდე გაზარდა. შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა. ტერეხოვის გუნდმა თამაში გამარჯვებამდე იოლად მიიყვანა და ლიდერებშიც გაერია.

გამარჯვებულებს კიდევ ერთმა ამერიკელმა ლეგიონერმა, დემონტე ფლანიგანმა ულიდერა 24 ქულითა და 13 მოხსნით. ჰენსონმა 22 ქულას მოუყარა თავი, ტაილერ კორბინის ანგარიშზე კი, 13 ქულა, 6 მოხსნა და 5 ჩაჭრა დაგროვდა. დინამოელთაგან 14 ქულით ვოვა თავაქარაშვილი გამოირჩა, რაჰსან უილიამსის ანგარიშზე 11 ქულა და 9 მოხსნაა.

**ბათუმი-რუსთავი 96:77**
**(19:12, 25:24, 22:18, 30:23)**

აჭარულმა კლუბმა რუსთავს უმასპინძლა. ეს მატჩი ქვემოქართლელებისთვის მიმდინარე სუპერლიგაში პირველი იყო. გასული სეზონის ჩემპიონმა ქუთაისთან სუპერთასი წააგო და სუპერლიგის მომდევნო ტურში ისვენებდა. ბათუმელებმა კი, მანამდე 2 წაგების დაგროვება მოასწრეს – ბუბა ბერიშვილის გუნდმა თბილისში ვერასთან წააგო, გასულ ტურში კი შინ დინამოსთან შეხვედრა ოვერტაიმში დათმო.

შესაბამისად, 2-ვე გუნდისთვის გამარჯვებას სოლიდური მნიშვნელობა ჰქონდა. ზღვისპირელებმა ნავსი გატეხეს და სუპერლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმეს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა ქვემოქართლელებმა მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ახალდაწყებულ სუპერლიგაში სადებიუტო შეხვედრა დიდი სხვაობით – 77:96 დათმეს.

ბათუმელებმა ყველა მეოთხედი მოიგეს. შესაბამისად, რუსთაველებს გამარჯვების რეალური შანსი არ მისცემიათ. მასპინძლები მეტოქეს ფარქვეშაც ჯობნიდნენ და უკანა ხაზშიც. აჭარული გუნდის უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში თვალსაჩინო იყო.

გამარჯვებულებს 25 ქულით ამერიკელმა ლეგიონერმა, აიზეა ტრეილორმა ულიდერა. 19 ქულა და 12 მოხსნა ბექა ბექაურმა მოაგროვა, 23 ქულით კი საბა ლობჯანიძე გამოირჩა. რუსთაველთაგან 24 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ისმაელ ჰოლისი, 16 ქულა და 7 პასი რიკი პრაისმა მიითვალა.

## რა პრინციპებით უნდა იმუშაოს ხავიმ

რონალდ კუმანის გათავისუფლების შემდეგ ბარსელონას ხავი ერნანდესი ჩაიბარებს. კატალონიური გუნდის ლეგენდარული ნახევარმცველის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშვნა, მედიის ინფორმაციით, სულ რამდენიმე დღის ამბავია და ხავის ბარსას პრობლემებთან შეჭიდება ნოემბრის პირველი ნახევრიდან მოუწევს.



მწვრთნელის შეცვლა კლუბის დირექტორთა საბჭოში დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა, ხავი კი, მთავარ ფავორიტთა შორის მუდმივად იყო. ესპანური მედია წერს, რომ ყატარული ალ სადის დამრიგებელი „ბლაუგრანას" რეორგანიზებისა და გამოცოცხლების სტრატეგიაზე ამ დროის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა და 4 ძირითადი პრინციპი ჩამოაყალიბა, რომლებზეც გუნდის განვითარების გეგმა აიგება.

### არსებული რესურსის გამოყენება

ხავი მიიჩნევს, რომ იმ შემადგენლობით, რომლითაც ბარსა ახლა თამაშობს, ბევრად უკეთესი შედეგების ჩვენებაა შესაძლებელი. ის დარწმუნებულია, რომ შეძლებს, გუნდის ამჟამინდელ წევრებს თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმაროს და შექმნას ბირთვი, რომელიც არა მარტო ახლო მომავალში იქნება წარმატებული, არამედ საფუძველს მომავლის ფორმაციასაც ჩაუყრის.

### ყოფილი მეგობრები გუნდში

პოსტზე დანიშვნის შემდეგ ჩავი ბევრი მწვრთნელისთვის უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდება: მან უნდა გაწვრთნას ფეხბურთელები, რომლებთან ერთადაც ადრე თამაშობდა.

ერნანდესის კანდიდატურის განხილვის დროს ეს ფაქტი საკამათოა: ზოგი ფიქრობს, რომ ყოფილი თანაგუნდელების ავტორიტეტი ჩავის შემადგენლობის ობიექტურად შერჩევაში ხელს შეუშლის, მაგრამ თავად 41 წლის სპეციალისტის აზრი განსხვავებულია. ის თანაგუნდელების ფაქტორს თავის უპირატესობად თვლის და არა პრობლემად.

### მეტის მოთხოვნა ფეხბურთელებისგან

როგორი შემადგენლობითაც არ უნდა ემზადებოდეს ბარსელონა მომდევნო თამაშისთვის, ხავის პრიორიტეტი გუნდის თითოეული წევრისგან მაქსიმუმის მიღება იქნება. მისი აზრით, მოთამაშეებისგან მეტის მოთხოვნაა საჭირო და, სავარაუდოდ, ეს ვარჯიშის ინტენსივობაზე პირველივე დღიდან აისახება.

### ბარსელონას სტილი

კლუბის ფილოსოფია არ შეიცვლება: „ბარსას" დნმ გადახედვას არ ექვემდებარება და ხავი ყველა იმ პრინციპის ერთგული იქნება, რომლებმაც „ბლაუგრანას" იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. იდეები, რომლებსაც ახალგაზრდა ფეხბურთელები „ლა მასიაში" ეცნობიან, პირველ გუნდზეც უნდა ვრცელდებოდეს.

ბოლო წლებში „ბლაუგრანამ" დაკარგა თვისებები, რომლებიც სხვა კლუბებისგან გამოარჩევდა, ჩავი კი ფიქრობს, რომ ამ პრინციპების აღდგენის გარეშე კლუბის განვითარება შეუძლებელი იქნება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**კალეიდოსკოპი**

## ქალს ყურში ობობა ჩაუსახლდა

ჩინეთის ხუნანის პროვინციის ქალაქ ჩჟუჩჟოუში ექიმმა პაციენტი ქალის ყურიდან ცოცხალი ობობა ამოიყვანა.



ქალი ყურში უსიამოვნო შეგრძნებებმა დასაძინებლად დაწოლის წინ შეაწუხა. ის რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა, აღნიშნული პრობლემისთვის ყურადღება არ მიექცია და იმედი ჰქონდა, რომ თავისთავად გაუვლიდა, თუმცა ტკივილმა არ გაუარა. ქალს მთელი ღამე ყური აუტანლად სტკიოდა და ექავებოდა, გარდა ამისა, უცნაური ხმები ჩაესმოდა.

მეორე დილით მან ექიმს მიმართა. გამოკვლევის დროს ექიმმა აღმოაჩინა, რომ პაციენტის ყურის არხში ობობა იყო ჩასახლებული. მან დაინახა, თუ როგორ დაცოცავდა ყურის ბარაბნის ზედაპირზე ობობა. იმისთვის, რომ უფრო კარგად დაენახა, რა ხდებოდა, ექიმმა სპეციალური მოწყობილობა გამოიყენა.

საბოლოოდ მან ობობის პაციენტის ყურიდან ამოყვანა მშვიდობიანად მოახერხა.

## მამაკაცმა ჯვრისწერის წინ ეკლესიის გაქურდვა სცადა

ირლანდიის ქალაქ ლონდონდერის მცხოვრები ფილიპ ლინჩი ბელფასტის ეკლესიაში ადგილობრივ ღვთის მსახურთან ჯვრისწერასთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებებიდან რამდენიმე საათში დაბრუნდა და მისი გაქურდვა სცადა.



როგორც ადგილობრივ სასამართლოში განაცხადეს, ეკლესიაში შეაღწია მუქიფერის ტანსაცმელსა და სამედიცინო ხელთათმანებში გამოწყობილმა მამაკაცმა. როდესაც სამრეკლოში სიგნალიზაცია ამუშავდა, მძარცველი გაიქცა. სიგნალიზაციის ამუშავების შემდეგ სამრეკლოს ზედამხედველმა შემთხვევის ადგილი დაათვალიერა და უამრავ დაზიანებას მიაგნო. შენობის კედელზე მიყუდებული იყო კიბე, რომელიც სახურავზე ადიოდა. ფანჯარა პირველ სართულზე დაზიანებული იყო. სავარაუდოდ, ბოროტმოქმედი ეკლესიაში ღია ფანჯრიდან მოხვდა. დაზიანებული იყო სათვალთვალო კამერის გაყვანილობა. სავარაუდოდ, ის მის გამორთვას ცდილობდა. შემთხვევის ადგილზე ზედამხედველმა სისხლის კვალი შენიშნა. მისი აღებული ნიმუშის ანალიზმა მოგვიანებით აჩვენა, რომ შენობაში შესული იყო ლინჩი. მამაკაცი დააპატიმრეს. თუმცა თავდაპირველად ის დანაშაულს უარყოფდა.

– მან განაცხადა, ახსოვს, რომ იმ დღეს ეკლესიაში იმყოფებოდა, ვინაიდან მცირე ხნით ადრე ნიშნობა ჰქონდა და ის საცოლეს და ღვთისმსახურთან ერთად მომავალ ჯვრისწერას განიხილავდა, – ხაზგასმით აღნიშნა პროკურორმა.

მოგვიანებით ლინჩმა აღიარა, რომ ეკლესიის გაქურდვას აპირებდა. სასამართლოსთვის უცნობია, იცოდა თუ არა მისი ამ განზრახვის შესახებ მისმა საცოლემ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლინჩი 40 ბრალებით იყო გასამართლებული, მათ შორის ქურდობისაც, რისთვისაც მიმდინარე წელს 12 თვით პირობითი სასჯელი მიიღო. საბოლოოდ სასამართლომ ლინჩს ხუთი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

## სათევზაოდ წასულმა მოზარდმა სიცოცხლე ნიანგის ყბებში დაასრულა



ინდოეთის კარნატაკის შტატის უტარ კანადის რაიონში მდინარე კალიზე ნიანგმა სათევზაოდ წასული 15 წლის მოზარდი იმსხვერპლა.

15 წლის მოინ გალბარტი სათევზაოდ ქალაქგარეთ წავიდა. მან მდინარეში ბადე გადააგდო და ლოდინი დაიწყო, თუ როდის გაებმებოდნენ მასში თევზები. ამ დროს მოზარდს თავს დაესხა ნიანგი. რეპტილიამ გალბარტს პირი სტაცა და წყლის სიღრმეში ჩაითრია.

პოლიციამ და მაშველებმა მოზარდის სამძებრო სამუშაოები დაიწყეს. ამისთვის მაშველებმა კაშხალ სუპაზე წყალი გაუშვეს. ძებნა გვიან ღამემდე გაგრძელდა, მაგრამ მოზარდის კვალს ვერსად მიაგნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კომმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# ინდიანამ ბითაძეს კონტრაქტი გაუგრძელა



ინდიანა პეისერსი ქართველ კალათბურთელ გოგა ბითაძეს კიდევ ერთი წლით დაიტოვებს.

22 წლის ცენტრი ინდიანაში უკვე მე-3 წელია ირიცხება, ხოლო დარჩებოდა თუ არა პეისერსში 2022-23 წლების სეზონში, კლუბის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული.

პეისერსს საბოლოო პასუხის დედლაინი 1 ნოემბრამდე ჰქონდა, თუმცა, აღარ დაელოდა. კლუბმა უკვე გამოაცხადა, რომ ქართველ კალათბურთელთან კიდევ ერთი სეზონით ითანამშრომლებს.

ხელშეკრულების თანახმად, ბითაძე მომავალ სეზონში გარანტირებულ 4.76 მილიონ დოლარს მიიღებს.

არადა, გოგა ინდიანაში სტაბილურ სათამაშო დროს ჯერაც ვერ იღებს. ცოტას თამაშობს მიმდინარე სეზონშიც – შვიდი მატჩიდან ბითაძემ მონაწილეობა მხოლოდ ოთხ შეხვედრაში მიიღო.

ბოლოს პეისერსი შინ ტორონტო რეპტორსთან 94:97 დამარცხდა, გოგამ კი მოედანზე 10 წუთი გაატარა და 2 მოხსნა, 1 პასი და დაფარება ჰქონდა. ქართველმა კალათბურთელმა 3-ქულიანი და 2 2-ქულიანი ააცილა.

პეისერსი აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზე იმყოფება, რაც გუნდის ისტორიაში დიდი ხანია არ მომხდარა, მომდევნო მატჩს კი სან ანტონიო სპურსის წინააღმდეგ ჩაატარებს.

სან ანტონიოს წინააღმდეგ სანდრო მამუკელაშვილმა სულ 1 წუთი ითამაშა. ტეხასელები მილუოკის ესტუმრნენ და 102:93 სძლიეს. ქართველი ფორვარდს იმ 1 წუთში 1 დაკარგვა ჰქონდა.

ბაქსი 3-3 მოგება-წაგებით მე-8 პოზიციაზეა, მომდევნო მატჩში კი იუტა ჯაზს გაეჯიბრება.

# შავ ლომს თამაში გადაუდეს



რაგბი ევროპის სუპერ თასის მეოთხე ტურში ენისეისა და შავ ლომს შორის გასამართი მატჩი გადაიდო. მიზეზი ისევ კოვიდ-19-ია.

რუსეთში პანდემიამ მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა და ქვეყანამ საზღვრის ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. შავი ლომი სოჭში ჩარტერული რეისით მატჩის წინა დღეს დილით უნდა გაფრენილიყო და შეჩერებული ნებართვა მხოლოდ დღის ბოლოს მიიღო. იყო შანსი, რომ თამაში კვირისთვის გადადებულიყო, მაგრამ მასპინძლებმა საორგანიზაციო მხარე ვერ მოაგვარეს.

შესაბამისად, რაგბი ევროპამ თამაშის გადადების გადაწყვეტილება მიიღო და მისი ჩატარების ვადები მოგვიანებით დაზუსტდება.

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ბაჩო ხურციძე ენისეისთან მატჩის გადადების დეტალებს გვიყვება.

**ბაჩო ხურციძე:**

– სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში შესვლაზე შეზღუდვა დააწესა და დილით ჩანიშნული ჩარტერული რეისი ვერ შედგა. საქმეში ჩავრთეთ რაგბი ევროპა, რუსეთის რაგბის კავშირი და დღის ბოლოს ჩარტერული რეისის განხორციელების შესაძლებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მოთამაშეთა კეთილდღეობიდან გამომდინარე თამაშის კვირისთვის გადადება მოვითხოვეთ, რაზეც ენისეი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ დაგვთანხმდა. რაგბი ევროპასთან ერთად ვიმუშავებთ და გადავწყვეტთ, როდის ჩატარდება ეს შეხვედრა.

შავ ლომს ტურნირზე ჯერ მხოლოდ 2 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ქულათა მაქსიმუმით (10) მე-2 ადგილზეა. მომდევნო თამაშს 4 დეკემბერს გამართავს და ლოკომოტივ-პენზას დაუხვდება. მანამდე გუნდის ბირთვს სანაკრებო შეკრება და შემოდგომის ტესტ-მატჩები ელის:

– გუნდმა უკვე მოასწრო 2 მატჩის გამართვა და აგრძელებს ვარჯიშს. კარგი იყო ენისეისთან თამაში არ გადადებულიყო, რადგან მოთამაშეებს მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნებოდათ, მაგრამ ისიც კარგია, რომ ტურნეს სრულად უთამაშებლები არ ხვდებიან.

# შედეგები

## 30 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-არსენალი ........ 0:2
ბარნლი-ბრენტფორდი ........ 3:1
ლივერპული-ბრაიტონი ........ 2:2
სიტი-კრ.პალასი ........ 0:2
ნიუკასლი-ჩელსი ........ 0:3
უოტფორდი-საუთჰემპტონი ........ 0:1
ტოტენჰემი-მანჩესტერი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 10 | 8 | 1 | 1 | 26-3 | 25 |
| 2.ლივერპული | 10 | 6 | 4 | 0 | 29-8 | 22 |
| 3.სიტი | 10 | 6 | 2 | 2 | 20-6 | 20 |
| 4.ვესტ ჰემი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-10 | 17 |
| 5.მანჩესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-15 | 17 |
| 6.არსენალი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-13 | 17 |
| 7.ბრაიტონი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-11 | 16 |
| 8.ტოტენჰემი | 10 | 5 | 0 | 5 | 9-16 | 15 |
| 9.ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 10.ლესტერი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-17 | 14 |
| 11.ვულვზი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 12.ბრენტფორდი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 13.კრ.პალასი | 10 | 2 | 6 | 2 | 13-14 | 12 |
| 14.საუთჰეპმტონი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-12 | 11 |
| 15.ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13-15 | 10 |
| 16.უოტფორდი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-18 | 10 |
| 17.ბარნლი | 10 | 1 | 4 | 5 | 10-16 | 7 |
| 18.ლიდსი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-16 | 7 |
| 19.ნიუკასლი | 10 | 0 | 4 | 6 | 11-23 | 4 |
| 20.ნორვიჩი | 9 | 0 | 2 | 7 | 2-23 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ვესტ ბრომვიჩი ........ 3:0
ბრისტოლი-სიტი ........ 2:1
დერბი-ბლექბერნი ........ 1:2
მიდლსბრო-ბირმინგემი ........ 0:2
პრესტონი-ლუთონი ........ 2:0
სტოკი-კარდიფი ........ 3:3
სუონსი-პიტერბრო ........ 3:0
ჰადერსფილდი-მილუოლი ........ 1:0
ჰალი-ქოვენთრი ........ 0:1
შეფილდი-ბლექპული ........ 0:1
რედინგი-ბორნმუთი ........ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-მაინცი ........ 1:2
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ........ 0:2
დორტმუნდი-კიოლნი ........ 2:0
უნიონი-ბაიერნი ........ 2:5
ფრაიბურგი-ფიურტი ........ 3:1
აინტრახტი-ლაიფციგი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 8 | 1 | 1 | 38-10 | 25 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 8 | 0 | 2 | 27-15 | 24 |
| 3.ფრაიბურგი | 10 | 6 | 4 | 0 | 17-7 | 22 |
| 4.ლევერკუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 23-16 | 17 |
| 5.მაინცი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-10 | 16 |
| 6.უნიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-15 | 16 |
| 7.ვოლფსბურგი | 10 | 5 | 1 | 4 | 11-12 | 16 |
| 8.ლაიფციგი | 10 | 4 | 3 | 3 | 21-10 | 15 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 10 | 4 | 2 | 4 | 19-15 | 14 |
| 10.კიოლნი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-18 | 13 |
| 11.ჰერტა | 10 | 4 | 0 | 6 | 11-23 | 12 |
| 12.გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 13.შტუტგარტი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-15 | 10 |
| 14.ბოხუმი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-16 | 10 |
| 15.აინტრახტი | 10 | 1 | 6 | 3 | 10-15 | 9 |
| 16.აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-18 | 6 |
| 17.არმინია | 10 | 0 | 5 | 5 | 6-16 | 5 |
| 18.ფიურტი | 10 | 0 | 1 | 9 | 7-27 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვერდერი-ზ.პაული ........ 1:1
ჰანოვერი-აუე ........ 1:1
დინამო-ზანდჰაუზენი ........ 0:1
ჰამბურგი-კილი ........ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ელჩე-რეალი ........ 1:2
სევილია-ოსასუნა ........ 2:0
ვალენსია-ვილიარეალი ........ 2:0
ბარსელონა-ალავესი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 11 | 7 | 3 | 1 | 26-12 | 24 |
| 2.სევილია | 11 | 7 | 3 | 1 | 19-7 | 24 |
| 3.სოსიედადი | 11 | 7 | 3 | 1 | 16-9 | 24 |
| 4.ბეტისი | 11 | 6 | 3 | 2 | 19-12 | 21 |
| 5.რაიო | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 | 19 |
| 6.ატლეტიკო | 10 | 5 | 4 | 1 | 15-10 | 19 |
| 7.ოსასუნა | 12 | 5 | 4 | 3 | 14-15 | 19 |
| 8.ბილბაო | 10 | 4 | 5 | 1 | 10-6 | 17 |
| 9.ბარსელონა | 11 | 4 | 4 | 3 | 16-12 | 16 |
| 10.ვალენსია | 12 | 4 | 4 | 4 | 18-17 | 16 |
| 11.ესპანიოლი | 11 | 3 | 5 | 3 | 11-11 | 14 |
| 12.მალიორკა | 11 | 3 | 4 | 4 | 10-16 | 13 |
| 13.ვილიარეალი | 11 | 2 | 6 | 3 | 13-12 | 12 |
| 14.სელტა | 11 | 3 | 1 | 7 | 10-14 | 10 |
| 15.ელჩე | 12 | 2 | 4 | 6 | 9-15 | 10 |
| 16.ალავესი | 11 | 3 | 1 | 7 | 6-14 | 10 |
| 17.გრანადა | 10 | 1 | 5 | 4 | 8-14 | 8 |
| 18.კადისი | 11 | 1 | 5 | 5 | 10-18 | 8 |
| 19.ლევანტე | 11 | 0 | 6 | 5 | 11-20 | 6 |
| 20.ხეტაფე | 11 | 0 | 3 | 8 | 4-17 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ამორებიეტა ........ 1:1
ლუგო-ხიხონი ........ 1:1
კარტახენა-პონფერადინა ........ 0:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ლაციო ........ 2:2
ვერონა-იუვენტუსი ........ 2:1
ტორინო-სამპდორია ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 10 | 9 | 1 | 0 | 22-3 | 28 |
| 2.მილანი | 10 | 9 | 1 | 0 | 23-9 | 28 |
| 3.ინტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 26-12 | 21 |
| 4.რომა | 10 | 6 | 1 | 3 | 18-10 | 19 |
| 5.ატალანტა | 11 | 5 | 4 | 2 | 20-14 | 19 |
| 6.ლაციო | 11 | 5 | 3 | 3 | 22-19 | 18 |
| 7.ვერონა | 11 | 4 | 3 | 4 | 24-20 | 15 |
| 8.ფიორენტინა | 10 | 5 | 0 | 5 | 13-13 | 15 |
| 9.იუვენტუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10.ტორინო | 11 | 4 | 2 | 5 | 15-11 | 14 |
| 11.სასუოლო | 10 | 4 | 2 | 4 | 14-13 | 14 |
| 12.ემპოლი | 10 | 4 | 0 | 6 | 14-20 | 12 |
| 13.ბოლონია | 10 | 3 | 3 | 4 | 15-22 | 12 |
| 14.უდინეზე | 10 | 2 | 5 | 3 | 12-14 | 11 |
| 15.სამპდორია | 11 | 2 | 3 | 6 | 14-23 | 9 |
| 16.სპეცია | 10 | 2 | 2 | 6 | 12-23 | 8 |
| 17.ვენეცია | 10 | 2 | 2 | 6 | 8-17 | 8 |
| 18.სალერნიტანა | 10 | 2 | 1 | 7 | 10-22 | 7 |
| 19.ჯენოა | 10 | 1 | 4 | 5 | 15-22 | 7 |
| 20.კალიარი | 10 | 1 | 3 | 6 | 12-22 | 6 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

მეცი-სტ.ეტიენი ........ 1:1
ლიონი-ლანსი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 10 | 1 | 1 | 26-11 | 31 |
| 2.ლანსი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-14 | 21 |
| 3.ნიცა | 11 | 6 | 3 | 2 | 21-8 | 20 |
| 4.მარსელი | 11 | 5 | 4 | 2 | 19-12 | 19 |
| 5.ლიონი | 12 | 5 | 4 | 3 | 20-17 | 19 |
| 6.რენი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-9 | 18 |
| 7.ანჟე | 11 | 4 | 5 | 2 | 17-13 | 17 |
| 8.ნანტი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 17 |
| 9.მონაკო | 11 | 5 | 2 | 4 | 17-14 | 17 |
| 10.ლორიანი | 11 | 3 | 6 | 2 | 12-14 | 15 |
| 11.ლილი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-18 | 15 |
| 12.სტრასბური | 11 | 4 | 2 | 5 | 18-16 | 14 |
| 13.მონპელიე | 11 | 3 | 4 | 4 | 18-19 | 13 |
| 14.კლერმონი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-22 | 13 |
| 15.ტრუა | 11 | 3 | 3 | 5 | 11-15 | 12 |
| 16.რეიმსი | 11 | 2 | 5 | 4 | 12-14 | 11 |
| 17.ბორდო | 11 | 1 | 6 | 4 | 13-22 | 9 |
| 18.მეცი | 12 | 1 | 4 | 7 | 13-27 | 7 |
| 19.ბრესტი | 11 | 0 | 6 | 5 | 12-20 | 6 |
| 20.სტ.ეტიენი | 12 | 0 | 6 | 6 | 12-26 | 6 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ტულუზა-გენგამი ........ 2:2
დიჟონი-პარიზი ........ 0:1
დიუნკერკი-ლე ავრი ........ 1:0
კაენი-გრენობლი ........ 0:1
ნანსი-სოშო ........ 0:0
ნიმი-ნიორი ........ 1:2
პო-აიაჩო ........ 1:0
როდეზი-კევიი ........ 3:0
ბასტია-ამიენი ........ 0:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

პსვ-ტვენტე ........ 5:2
ერაკლესი-აიაქსი ........ 0:0
ჰერენვენი-ვიტესი ........ 1:2
ალკმაარი-ზვოლე ........ 3:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტუ-ბოავიშტა ........ 4:1
ეშტორილი-ბენფიკა ........ 1:1
სპორტინგი-გიმარაეში ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

რუბინი-ცსკა ........ 1:0
სპარტაკი-როსტოვი ........ 1:1
კრასნოდარი-კრილია ........ 0:1
ნ.ნოვგოროდი-ლოკომოტივი ........ 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ეუპენი ........ 3:0
ბეერსხოტი-სერენი ........ 3:0
სტანდარდი-კორტრაიკი ........ 1:1
სტ.ტრუიდენი-ბრიუგე ........ 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენტფურტი-ადმირა ........ 3:3
ალტახი-ჰარტბერგი ........ 0:2
რიდი-ზალცბურგი ........ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰართსი ........ 2:1
დ.იუნაიტედი-სტ.ჯონსონი ........ 0:1
სელტიკი-ლივინგსტონი ........ 0:0
სტ.მირენი-დანდი ........ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-მალათია ........ 2:0
ალთაი-სივასი ........ 1:1
ჰატაი-ბეშიქთაში ........ 1:0

**ჰატაის გოლი**
**საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

ქონია-ფენერბახჩე ........ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ოლიმპიაკოსი ........ 1:2
პაოკი-აპოლონი ........ 4:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-იანგ ბოიზი ........ 3:1
ციურიხი-ბაზელი ........ 3:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-ჩესკე ........ 2:0
ტეპლიცე-ლიბერეცი ........ 1:2
სიგმა-სლოვაცკო ........ 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-სლასკი ........ 4:3
ვარტა-ლეხია ........ 0:2
გურნიკი-ზაგლებიე ........ 0:0
იაგელონია-პიასტი ........ 3:3

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

მეზეკოვეშდი-უიპეშტი ........ 2:2
მტკ-დებრეცენი ........ 1:1
დიორმოტი-ფერენცვაროში ........ 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მარიუპოლი-დინამო ........ 2:3
შახტარი-დესნა ........ 4:1
ინჰულეცი-ვერესი ........ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვარბერგი-ესტერსტუნდი ........ 3:0
სირიუსი-მალმიო ........ 2:3
ჰაკენი-კალმარი ........ 1:4

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-ტრომსო ........ 1:1
რუსენბორგი-ლილესტრიომი ........ 1:3

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. საპრივატიზაციო პოლისი; 3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. განახლება, სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 14. სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მტერი; 15. სასტუმრო გაგრაში; 16. კავალერის, ცხენოსანი ჯარის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 21. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 22. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი.

**თარაზულად:** 1. უბანი თბილისში; 5. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 7. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძიანი ვაზის ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ენამოსწრებული, ხუმარა ადამიანი; 25. იაპონური აბანო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არეშიძე; 2. კარმენი; 3. პლზენი; 4. ბურდა; 5. ნოვატორი; 7. ტბა; 11. ვარანი; 15. კამპუსი; 16. ბელუჩი; 17. ტოკაი; 18. გაყრა; 20. სოფია; 22. რომი.

**თარაზულად:** 6. რეკეტი; 8. ჩარხილი; 9. თურნავა; 10. შარტავა; 12. დუნაი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. კომპასი; 21. ქოჩარი; 23. ალალი; 24. საღამო; 25. ქსილიტი; 26. გარდიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ნეირატი; 3. ლუიზიანა; 4. ავანტიურა; 5. ვაიდა; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. ჟურფიქსი; 16. ჰუმანიზმი; 17. კურტუა; 19. ინვაზია; 21. ჭიუხი; 22. ჩორდი.

**თარაზულად:** 1. ენოლოგია; 5. ვეძა; 7. ჯოყოლა; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაუთა; 12. ათანელი; 13. ჰაუბიცა; 16. ჰონოლულუ; 17. კანა; 18. ვიშნუ; 20. აქსაკალი; 22. ჩაქვი; 23. ზანდური; 24. ზვირთი; 25. ხურმა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1601

ევრო — 3.6828

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3594

100 რუსული რუბლი — 4.4714

## ამინდის პროგნოზი 1 ნოემბრისათვის




## სერხიო აგუეროს გულის არითმია დაუდგინდა



ბარსელონას არგენტინელ ფორვარდს სერხიო აგუეროს გულის არითმია დაუდგინდა, თუმცა ის საშიში ფორმის არ არის და სერხიო საავადმყოფოს რამდენიმე დღეში დატოვებს.

ექიმების თქმით, მას კარიერის გაგრძელების საშუალება ექნება, თუმცა, მანამდე მან დამატებითი გამოკვლევები უნდა ჩაიტაროს. მცირე კომენტარი თვითონ ფეხბურთელმაც გააკეთა და თქვა, რომ ის თავს კარგად გრძნობს.

30 ოქტომბერს ალავესთან მატჩში აგუერომ თავი შეუძლოდ იგრძნო, თუმცა მოედნის დამოუკიდებლად დატოვება მოახერხა. ამის შემდეგ ის კლინიკაში გადაიყვანეს.

## აზარი შესაძლოა ჩელსიში დაბრუნდეს



მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი შესაძლოა ჩელსიში დაბრუნდეს და ამის შესახებ კომენტარი კარლო ანჩელოტიმაც გააკეთა.

ანჩელოტის თქმით, ის ძალით გუნდში ვერავის ვერ დატოვებს:

— თუ აზარს წასვლა სურს, მე მხოლოდ შემიძლია, რომ მომავალში მას წარმატება ვუსურვო. რეალში მხოლოდ ის ფეხბურთელები არიან, ვინც გუნდისთვის ბოლომდე იხარჯება.

## სერჯი ბარჯუანი: „მოგებას ვიმსახურებდით“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ალავესის დამარცხება ვერ შეძლო და შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. მატჩის შემდეგ სერჟი ბარჟუანმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ბარსელონა მოგებას იმსახურებდა:

— მოგებას ნამდვილად ვიმსახურებდით და მატჩის სადავეებს მთლიანად ვაკონტროლებდით, თუმცა, სამწუხაროდ, ეს შედეგზე არ აისახა. მომავალში მომენტების გამოყენებაზე უნდა ვიმუშაოთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ტელეფონის ზარია. მამაკაცი ყურმილს იღებს და ესმის:

— გამარჯობათ, მე სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან გირეკავთ.

— ვიცი.

— საიდან?

— გამორთულ ტელეფონზე მირეკავთ.

●●●

დედა შვილს ეკითხება:

— შვილო, სახლში რითი გაერთობი, სანამ მე მაღაზიაში საყიდლებზე ვიქნები წასული?

— ან ძიძას ვეთამაშები, ან კომპიუტერით გავერთობი... გააჩნია, მამა რომელს აირჩევს.

●●●

ოჯახი პირველადაა ზღვაზე და აღტაცებას ვერ მალავენ. ბავშვი დედას ეუბნება:

— დედა, შეხედე რა ჩქარა გარბის ის კატერი!

— შვილო, უკან ისეთი გიჟი რომ მოგდევდეს თხილამურებით, შენ უფრო ჩქარა გაიქცეოდი!

●●●

ეზოდან ბავშვი იძახის:

— დედაა! დეედააა! დეეედააaa!

ბოლოს, როგორც იქნა, დედამ გადმოიხედა და ეკითხება:

— რა მოხდა შვილო?

— დეე, ამოვიდე?

— ჰო, ამოდი შვილო.

— აუ, ვიქნები რაა...

●●●

ორი პენსიონერი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— წავიდეთ ქალებში?

— წავიდეთ, მაგრამ რომ არ მოგვცენ?

— ეგ არაფერია, რომ მოგვცენ, აი მაშინ რა გვეშველება!..

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანანო მარჩილაშვილმა ბერძნულ „ვოისში“ ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა



ქართველმა მომღერალმა ანანო მარჩილაშვილმა ბერძნულ „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა და ბრმა მოსმენებზე ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ანანომ ისლანდიელი მომღერლის ბიორკის ცნობილი ჰიტი შეასრულა და თავისი საოცარი შესრულების წყალობით შოუს ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა.

ბერძნული „ვოისის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ქართველ კონკურსანტს სიურპრიზი მოუწყო და დარბაზში ცნობილი მომღერალი თამთა გოდუაძე მიიწვია, რომელიც ბერძნული ესტრადის ნამდვილი ვარსკვლავია. თამთამ ანანო შეაქო და მწვრთნელების საქებარი სიტყვებიც სიამაყით გადაუთარგმნა.

## დემნა გვასალია: „ძალიან კარგი ინტუიცია მაქვს“



ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ, რომლის ახალ კოლექციებს მსოფლიო დიდი ინტერესით ელოდება, უცხოელ ჟურნალისტებთან გულწრფელად ისაუბრა:

***— რას ფიქრობთ სიტყვებზე, რომლებიც გძულთ, როდესაც თქვენს კოლექციებს ახასიათებენ?***

— ჯერ ვერ მოვიფიქრე, როგორ შევცვალო, მაგრამ არ შემიძლია, როდესაც მესმის: ქულ, ანტი, წესების დამრღვევი.

***— რა არის თქვენთვის მოდის ინდუსტრია?***

— ძლიერი უნდა იყო, რადგან ამ სფეროში ბევრის პროფესია დაცინვაა. ყველა ჰოლივუდურ სკანდალებზე საუბრობს, მაგრამ მე რომ მოვყვე, მოდაში რა ხდება...

***— რას ეტყოდით 30 წლის დემნა გვასალიას?***

— წადი სამხრეთ საფრანგეთში და გაიცანი! ის ჩემი ცხოვრების უკეთესობისკენ ცვლილებას წარმოადგენს. მისი შეყვარებით საკუთარი თავი შევიყვარე.

***— როგორია თქვენი გუნდი?***

— თვალზე ცრემლი მოადგათ, როდესაც გავუმხილე, რომ ბალენსიაგაში ოტ კუტიურეს ვაბრუნებდი. ენთუზიაზმით სავსე ადამიანები და ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები არიან.

***— სირთულეებს როგორ უმკლავდებით?***

— თავიდან პარიზში ჩვენი სახელიც პრობლემა იყო. მოდის კვირეულში არ გვსვამდნენ. ახლა წინასწარ მირეკავენ და მეკითხებიან, რომელ დღეს მცალია ჩვენებისთვის.

***— მოდის ტერორიზმი არსებობს?***

— მაშინებს, როდესაც ვხედავ, რომ თავიდან ფეხამდე ერთი ბრენდის ერთი ლუქი აცვიათ, ჩემთვის ეს მოდის ტერორიზმია. მხოლოდ პიროვნულობის არმქონე ადამიანს სურს ჰგავდეს კატალოგიდან გადმოღებულ მოდელს.

***— როგორი ინტუიცია გაქვთ?***

— ძალიან კარგი ინტუიცია მაქვს. პარიზში ტერაქტის დროს იქ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ წინა ღამით მეგობართან დავრჩი, რადგან თავს უცნაურად ვგრძნობდი, ცუდი წინათგრძნობა მქონდა და გადავწყვიტე, რომ არ წავსულიყავი. არასდროს არ ვფიქრობ, რა აჯობებს ლოგიკურად, არასდროს! მე ლოგიკაზე მეტად საკუთარი ინტუიციის მჯერა და ეს ჩემს შემთხვევაში ყოველთვის ამართლებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ალიგატორი მოცურავეს დაედევნა და უკბინა

ბრაზილიაში ალიგატორი ტბაში მოცურავე მამაკაცს გამოეკიდა, დაეწია და ხელზე მწარედ უკბინა.

ვიდეოზე გადაღებული შემთხვევა მატუ-გროსუ-დუ-სულის შტატის პოპულარულ ტურისტულ ქალაქ კამპუ-გრანდიში მოხდა. მამაკაცმა ნაპირიდან დაახლოებით 30 მეტრის გაცურვა მოასწრო, როდესაც მისკენ უზარმაზარი ალიგატორი გაქანდა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებული მამაკაცი რამდენიმეჯერ გააფრთხილეს, რომ ტბაში ბანაობა უსაფრთხო არ იყო, მაგრამ მან ეს გაფრთხილება ყურად არ იღო და წყალში გადაეშვა.

— ალიგატორი მისკენ წავიდა. მოცურავემ სისწრაფეს მოუმატა და ნაპირისკენ გამოცურა, მაგრამ რეპტილია დაეწია და ხელზე უკბინა, — განაცხადა თვითმხილველმა, რომელმაც აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე გადაიღო.

მტაცებლის თავდასხმის შედეგად მოცურავემ ხელზე გარკვეული დაზიანებები მიიღო. მას საჭირო სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს. როგორც იქვე ახლოს წვენების გამყიდველმა აღნიშნა, ყველა ადგილობრივმა იცის, რომ აქ ბანაობა სახიფათოა და ეს მამაკაცი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველია, რომელსაც ალიგატორი თავს დაესხა.

## მამაკაცმა ფულისთვის კობრის კბენისგან სიკვდილი გაითამაშა

ინდოეთის მახარაშტრის შტატის ქალაქ ახმედნაგარში მამაკაცი შეეცადა, კობრის კბენისგან საკუთარი სიკვდილი გაეთამაშებინა იმის იმედით, რომ სადაზღვევო თანხას მიიღებდა, მაგრამ ის ამხილეს.



54 წლის პრაბხაკარ ბხიმაჯი ბოგხჩორი ბოლო 20 წელი აშშ-ში ცხოვრობდა და ინდოეთში რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა. ის მახარაშტრის შტატის სოფელ რაჯურში ცხოვრობდა. მამაკაცის სიცოცხლე დოლარების სადაზღვევო კომპანიას ხუთ მილიონ დოლარად ჰქონდა დაზღვეული.

ინდოელმა გადაწყვიტა, საკუთარი სიკვდილი გაეთამაშებინა და ამ გზით სადაზღვევო თანხა მიეღო. ამისთვის ბოგხჩორს თანამზრახველების გვერდში დგომა დასჭირდა, რომლებსაც 3,5 მილიონ რუპიას შეჰპირდა. მან და მისმა თანამზრახველებმა გველებზე მონადირისგან შხამიანი გველი იშოვეს, ამის შემდეგ იპოვეს ღატაკი ადამიანი, რომელიც ბოგხჩორს ჰგავდა და კობრის კბენით მოკლეს. გარდაცვლილი, რომელიც სინამდვილეში 50 წლის ნავნატ იაშვანტ ანაპომი იყო, იმავე რაიონში ცხოვრობდა.

თავად ბოგხჩორი საკუთარი ნათესავის, პრავინის, როლში გამოდიოდა და საავადმყოფოს თავისი „სიკვდილის“ შესახებ აცნობა. აღნიშნული ინფორმაცია პოლიციას გადაეგზავნა. გადაცვლილის ცხედარი თავად ბოგხჩორმა საკუთარი ნათესავის რანგში ამოიცნო და ასევე პიროვნებამ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ რაჯურში ცხოვრობდა. ცხედარი დასაკრძალად გადაიტანეს.

თანხის გადახდის წინ სადაზღვევო კომპანიამ მამაკაცის გარდაცვალების მიზეზების გამოსაკვლევად გამომძიებელი გაგზავნა. სიცრუე მას შემდეგ გამომჟღავნდა, რაც გამომძიებელმა გაარკვია, რომ პრავინი კოვიდ-19-ისგან გარდაიცვალა. პოლიციამ ბოგხჩორის სატელეფონო ჩანაწერები მოისმინა და დაადგინა, რომ ის ცოცხალი იყო. სამართალდამცავებმა ბოგხჩორი და მისი თანამზრახველები დააპატიმრეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 1 ნოემბრისათვის

**ვერძი** — ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. **კურო** — მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** — გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** — თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** — დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** — თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** — შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ — გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** — ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** — ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე — ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** — გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. სიკო დოლიძის კინოკომედია; 3. მოკლე იუმორისტული საესტრადო, საცირკო პიესა; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი მინერალი; 5. უბანი სოხუმში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი სფერო; 15. სამდინარო გემის მეთაური; 16. ამერიკული ჯიპი; 17. გემთმშენებელი საწარმო; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. საჭმელი სოკო; 22. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად:** 6. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. გემის საჭის საბრუნი ბერკეტი; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი სამხრეთ ამერიკაში; 13. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მსოფლიოში პირველი კოსმონავტი; 19. აშშ-ის პრეზიდენტი; 21. ქართველთა სათვისტომო მამული პარიზის მახლობლად; 23. ბელინის ოპერა; 24. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა ტ.კოპალეიშვილმა*